საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

СССР

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი | № 306 (10392) | ხუთშაბათი, 29 დეკემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:

კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ (1-ლი გვერდი).

კანონი სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 27,29-ა,70,77 და 78 მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ (1-ლი გვერდი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი მონგ ონი (1-ლი გვერდი).

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი მონგ ონი (1-ლი გვერდი).

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია.**

ეროვნებათა საბჭოში, კავშირის საბჭოში (მე-2 და მე-3 გვერდი).

საქართველოს კომკავშირის XXI ყრილობა (მე-3 და მე-4 გვერდი).

რუმინეთის მუშათა პარტიის მეორე ყრილობა (მე-4 გვერდი).

სპორტის ამბები (მე-4 გვერდი).

# კ ა ნ ო ნ ი

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

**მუხლი 1.** დამტკიცდეს სსრ კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ წარმოადგინა, კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების მოხსენებათა მიხედვით მიღებული ცვლილებებით, სახელდობრ: შემოსავალი სულ 592.761.156 ათასი მანეთი და გასავალი სულ 569.634.972 ათასი მანეთი, გასავალზე შემოსავლის 23.126.184 ათასი მანეთის გადამეტებით.

**მუხლი 2.** დაწესდეს სსრ კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან სულ 501.347.670 ათასი მანეთი.

**მუხლი 3.** დაწესდეს სსრ კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — მძიმე მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომ განსავითარებლად სულ 237.325.529 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საკუთარი სახსრებიდან 109.658.670 ათასი მანეთი, ხოლო სულ 346.984.199 ათასი მანეთი.

**მუხლი 4.** დაწესდეს სსრ კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნობანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობის და განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებათათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმების, ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისათვის — სულ 161.505.181 ათასი მანეთი.

**მუხლი 5.** დაწესდეს სსრ კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი მოსახლეობისათვის სახელმწიფო სესხებით მოგებათა ასანაზღაურებლად და ობლიგაციების დასაფარავად 14.000.000 ათასი მანეთი.

**მუხლი 6.** დაწესდეს სსრ კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ხარჯთაღრიცხვით 102.457.280 ათასი მანეთი.

**მუხლი 7.** დაწესდეს სსრ კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახავად 12.538.920 ათასი მანეთი.

**მუხლი 8.** დამტკიცდეს 1956 წლის საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალი 453.120.655 ათასი მანეთი და გასავალი 429.994.471 ათასი მანეთი, გასავალზე შემოსავლის 23.126.184 ათასი მანეთის გადამეტებით.

**მუხლი 9.** დამტკიცდეს მოკავშირე რესპუბლიკების 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტების შემოსავალი და გასავალი შემდეგი ოდენობით:

| | (ათას მანეთობით) |
|---|---|
| რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა | 74.181.215 |
| უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 29.345.002 |
| ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 4.513.886 |
| უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 4.275.905 |
| ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 8.766.410 |
| საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 2.898.894 |
| აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 2.790.650 |
| ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.908.122 |
| მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.414.945 |
| ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.881.212 |
| ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.351.119 |
| ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.418.205 |
| სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.335.060 |
| თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.269.985 |
| ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.280.457 |
| კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.009.434 |
| ს უ ლ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები | 139.640.501 |

**მუხლი 10.** დამტკიცდეს 1956 წლისათვის ანარიცხები საერთო საკავშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) შემოსავალი ბრუნვის გადასახადიდან: რუსეთის სფსრ — 3,5 პროცენტი, უკრაინის სსრ — 17,9 პროცენტი, ბელორუსიის სსრ — 21,6 პროცენტი, უზბეკეთის სსრ — 13,7 პროცენტი, ყაზახეთის სსრ — 51,3 პროცენტი, საქართველოს სსრ — 16,5 პროცენტი, აზერბაიჯანის სსრ — 23,1 პროცენტი, ლიტვის სსრ — 35,7 პროცენტი, მოლდავეთის სსრ — 19,2 პროცენტი, ლატვიის სსრ — 3,7 პროცენტი, ყირგიზეთის სსრ — 36,2 პროცენტი, ტაჯიკეთის სსრ — 44,5 პროცენტი, სომხეთის სსრ — 26,1 პროცენტი, თურქმენეთის სსრ — 34,1 პროცენტი, ესტონეთის სსრ — 23,3 პროცენტი, კარელია-ფინეთის სსრ — 67,2 პროცენტი;

ბ) შემოსავალი მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან — 25 პროცენტი; შემოსავალი სსრ კავშირის უცოლო-უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან, სატყეო შემოსავლიდან და მოსახლეობაში ხელმოწერით გავრცელებული სახელმწიფო სესხის თანხიდან — 40 პროცენტი; შემოსავალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან — 75 პროცენტი;

გ) შემოსავალი კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, ყაზახეთის სსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ, ლიტვის სსრ, მოლდავეთის სსრ, ლატვიის სსრ, ყირგიზეთის სსრ, სომხეთის სსრ, ესტონეთის სსრ, კარელია-ფინეთის სსრ ბიუჯეტებში — 40 პროცენტი, უზბეკეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ ბიუჯეტებში — 25 პროცენტი, თურქმენეთის სსრ ბიუჯეტში — 80 პროცენტი;

დ) მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებული სადგურების შემოსავლიდან რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, ყაზახეთის სსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ, ლიტვის სსრ, მოლდავეთის სსრ, ლატვიის სსრ, ყირგიზეთის სსრ, სომხეთის სსრ, ესტონეთის სსრ, კარელია-ფინეთის სსრ ბიუჯეტებში — 25 პროცენტი, უზბეკეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, თურქმენეთის სსრ ბიუჯეტებში — 10 პროცენტი.

**მუხლი 11.** დამტკიცდეს ანგარიში სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ — შემოსავალი 558.558.878 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალი 553.867.394 ათასი მანეთის ოდენობით გასავალზე შემოსავლის 4.691.484 ათასი მანეთის გადამეტებით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 28 დეკემბერი.

## ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი მონგ ონი

1955 წლის 27 დეკემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი მონგ ონი. (საკდეს).

## ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი მონგ ონი

1955 წლის 27 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი მონგ ონი. (საკდეს).

# კ ა ნ ო ნ ი

## სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 27, 29-ა, 70, 77 და 78 მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

**მუხლი 1.** დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 24 აგვისტოს ბრძანებულება „ტაჯიკეთის სსრ გარმისა და კულიაბის ოლქების გაუქმების შესახებ".

ამის შესაბამისად შეტანილ იქნას საჭირო ცვლილება სსრ კავშირის კონსტიტუციის 27 მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 27. ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში არის ლენინაბადის ოლქი და მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქი".

**მუხლი 2.** დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 9 დეკემბრის ბრძანებულება „თურქმენეთის სსრ კრასნოვოდსკის ოლქის გაუქმების შესახებ".

ამის შესაბამისად შეტანილ იქნას ცვლილება სსრ კავშირის კონსტიტუციის 29-ა მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 29-ა: თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება აშხაბადის, მარეთის, ტაშაუზისა და ჩარჯოუს ოლქებისაგან".

**მუხლი 3.** დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი: 1955 წლის 24 მაისისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ";

1955 წლის 25 მაისისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის რეორგანიზაციის შესახებ";

1955 წლის 28 მაისისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახალი ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ".

ამის შესაბამისად შეტანილ იქნას საჭირო ცვლილებანი და დამატებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის 70 მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 70. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქმნის შემდეგი შემადგენლობით:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

სსრ კავშირის მინისტრები;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის პერსპექტიული დაგეგმვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის მიმდინარე დაგეგმვის სახელმწიფო ეკონომიური კომისიის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახალი ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე".

**მუხლი 4.** დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1955 წლის 2 აპრილისა „სსრ კავშირის საერთო მანქანათმშენებლობის საერთო-საკავშირო სამინისტროს შექმნის შესახებ";

1955 წლის 6 აპრილისა „სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის საერთო-საკავშირო სამინისტროს შექმნის შესახებ";

1955 წლის 23 ივლისისა „საავტომობილო მრეწველობის საერთო-საკავშირო სამინისტროს და სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საერთო-საკავშირო სამინისტროს შექმნის შესახებ";

1955 წლის 10 აგვისტოსი „ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის საერთო-საკავშირო სამინისტროს სსრ კავშირის ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნისა და უკრაინის სსრ ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ";

1955 წლის 22 სექტემბრისა „სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ".

ამის შესაბამისად შეტანილ იქნას საჭირო ცვლილებანი და დამატებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის 77 და 78 მუხლებში და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 77. საერთო-საკავშირო სამინისტროებს ეკუთვნიან სამინისტროები:

საავიაციო მრეწველობისა;
საავტომობილო მრეწველობისა;
საგარეო ვაჭრობისა;
გეოლოგიისა და წიაღის დაცვისა;
დამზადებათა;
მანქანათმშენებლობის და ხელსაწყოთმშენებლობისა;
საზღვაო ფლოტისა;
თავდაცვითი მრეწველობისა;
საერთო მანქანათმშენებლობისა;
გზათა;
რადიოტექნიკური მრეწველობისა;
სამდინარო ფლოტისა;
საშუალო მანქანათმშენებლობისა;
ჩარხმშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობისა;
სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობისა;
მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობისა;
ნავთობის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობისა;
ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობისა;
ელექტროსადგურების მშენებლობისა;
გემთმშენებელი მრეწველობისა;
სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა;
სატრანსპორტო მანქანათმშენებლობისა;
სატრანსპორტო მშენებლობისა;
მძიმე მანქანათმშენებლობისა;
ქიმიური მრეწველობისა;
ელექტროსადგურებისა;
ელექტროტექნიკური მრეწველობისა".

**„მუხლი 78.** საკავშირო რესპუბლიკურ სამინისტროებს ეკუთვნიან სამინისტროები:

საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილებისა;
ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობისა;
შინაგან საქმეთა;
უმაღლესი განათლებისა;
საქალაქო და სასოფლო მშენებლობისა;
სახელმწიფო კონტროლისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
საგარეო საქმეთა;
კულტურისა;
მსუბუქი მრეწველობისა;
ხე-ტყის მრეწველობისა;
ნავთობის მრეწველობისა;
თავდაცვისა;
ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობისა;
სასურსათო საქონლის მრეწველობისა;
საშენ მასალათა მრეწველობისა;
თევზის მრეწველობისა;
კავშირგაბმულობისა;
სოფლის მეურნეობისა;
საბჭოთა მეურნეობებისა;
მშენებლობისა;
საფეიქრო მრეწველობისა;
ვაჭრობისა;
ქვანახშირის მრეწველობისა;
ფინანსთა;
ფერადი მეტალურგიისა;
შავი მეტალურგიისა;
იუსტიციისა".

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 28 დეკემბერი.

# კ ა ნ ო ნ ი

## სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 83 მუხლის დამატების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 83 მუხლს სიტყვების „სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე" შემდეგ დაემატოს სიტყვები „მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე".

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 28 დეკემბერი.

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეებად ამხ. ა. ი. მიქოიანის, მ. გ. პერვუხინისა და მ. ზ. საბუროვის დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეებად ამხ. ანასტას ივანეს-ძე **მიქოიანის**, ამხ. მიხეილ გიორგის-ძე **პერვუხინისა** და ამხ. მაქსიმე ზაქარიას-ძე **საბუროვის** დანიშვნის შესახებ.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 28 დეკემბერი.

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად ამხ. ვ. ა. კუჩერენკოს, პ. პ. ლობანოვისა და მ. ვ. ხრუნიჩევის დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად ამხ. ვლადიმერ ალექსის-ძე **კუჩერენკოს**, ამხ. პავლე პავლეს-ძე **ლობანოვისა** და ამხ. მიხეილ ვასილის-ძე **ხრუნიჩევის** დანიშვნის შესახებ.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 28 დეკემბერი.

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

## სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ვ. ა. მალიშევის განთავისუფლების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ვიაჩესლავ ალექსანდრეს-ძე **მალიშევის** განთავისუფლების შესახებ.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 28 დეკემბერი.

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახალი ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ვ. ა. მალიშევის დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახალი ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ვიაჩესლავ ალექსანდრეს-ძე **მალიშევის** დანიშვნის შესახებ.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 28 დეკემბერი.

## დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

### სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრად და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. ა. პ. ზავენიაგინის დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრად და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. აბრაამ პავლეს-ძე ზავენიაგინის დანიშვნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 28 დეკემბერი.

## დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

### სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩის დანიშვნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 28 დეკემბერი.

## დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

### სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის პერსპექტიული დაგეგმვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარედ ამხ. ნ. კ. ბაიბაკოვის დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება იმის შესახებ, რომ ამხ. ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე ბაიბაკოვი დაინიშნოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის პერსპექტიული დაგეგმვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარედ და განთავისუფლდეს იგი სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 28 დეკემბერი.

## დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

### სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის მიმდინარე დაგეგმვის სახელმწიფო ეკონომიური კომისიის თავმჯდომარედ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. მ. ზ. საბუროვის დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის მიმდინარე დაგეგმვის სახელმწიფო ეკონომიური კომისიის თავმჯდომარედ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. მაქსიმე ზაქარიას-ძე საბუროვის დანიშვნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 28 დეკემბერი.

## დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

### სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ვ. ა. კუჩერენკოს დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ვლადიმერ ალექსის-ძე კუჩერენკოს დანიშვნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წლის 28 დეკემბერი.

## დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

### სსრ კავშირის მინისტრების დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი იმის შესახებ, რომ დაინიშნონ:

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრად — ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ზადემიდკო;

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების მინისტრად — ივანე ალექსანდრეს-ძე ბენედიქტოვი და განთავისუფლდეს იგი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან;

სსრ კავშირის კულტურის მინისტრად — ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე მიხაილოვი;

სსრ კავშირის საერთო მანქანათმშენებლობის მინისტრად — პეტრე ნიკოლოზის-ძე გორემიკინი;

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის მინისტრად — ლეონიდ გიორგის-ძე მელნიკოვი;

სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის მინისტრად — მიხეილ ანდრიანის-ძე ევსეენკო და განთავისუფლდეს იგი სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან;

სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის მინისტრად — ალექსი კირილეს-ძე კორტუნოვი;

სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრად — კონსტანტინე დიმიტრის-ძე პეტუხოვი;

სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის მინისტრად — ნიკოლოზ ივანეს-ძე სტროკინი;

სსრ კავშირის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მინისტრად — გიორგი სერგის-ძე ხლამოვი;

სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის მინისტრად — ნიკიტა სიმონის-ძე რიჟოვი;

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრად—ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე მიროტვორცევი;

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრად — ვლადიმერ ვლადიმერის-ძე მაცკევიჩი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 28 დეკემბერი.

## დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

### სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრების არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს არჩეულ იქნან სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრებად:

ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე კოსტრომინი;

მიხეილ დიმიტრის-ძე გრიშინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 28 დეკემბერი.

## კანონი

### „სახალხო სასამართლოების გამგებლობიდან სახელმწიფო, კოოპერაციულ (გარდა კოლმეურნეობებისა) და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ათას მანეთამდე თანხაზე დავის საქმეების ამოღების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 14 მარტის ბრძანებულება „სახალხო სასამართლოების გამგებლობიდან სახელმწიფო-კოოპერაციულ (გარდა კოლმეურნეობებისა) და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ათას მანეთამდე თანხაზე დავის საქმეების ამოღების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 28 დეკემბერი.

## კანონი

### „მოწყობილობისა და მასალების სხვისთვის მიყიდვის, გადაცვლისა და მიცემის აკრძალვის შესახებ და ამ უკანონო მოქმედებისათვის სასამართლო პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 13 მაისის ბრძანებულება „მოწყობილობისა და მასალების სხვისთვის მიყიდვის, გადაცვლისა და მიცემის აკრძალვის შესახებ და ამ უკანონო მოქმედებისათვის სასამართლო პასუხისმგებლობის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გაუქმების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 28 დეკემბერი.

## კანონი

### „სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 24 მაისის ბრძანებულება „სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის დებულების დამტკიცების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 28 დეკემბერი.

## კანონი

### „აბორტის აკრძალვის გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 23 ნოემბრის ბრძანებულება „აბორტის აკრძალვის გაუქმების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 28 დეკემბერი.

## დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

### სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსა და უცხო სახელმწიფოთა პარლამენტებს შორის დელეგაციების გაცვლის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესმა საბჭომ განიხილა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსა და უცხო სახელმწიფოთა პარლამენტებს შორის დელეგაციების გაცვლის საკითხი და კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 9 თებერვლის დეკლარაციამ დადებითი გამოხმაურება ჰპოვა ბევრი ქვეყნის პარლამენტების მხრივ და ხელი შეუწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და უცხო სახელმწიფოთა პარლამენტების კავშირურთიერთობის გაფართოებასა და განმტკიცებას.

ფინეთის, ინგლისის, ინდოეთის, შვეციის, სირიის, იუგოსლავიის, იაპონიის, ბელგიის, საფრანგეთის, ლუქსემბურგის, ავსტრიის, ალბანეთის, პოლონეთისა და ირანის პარლამენტების დელეგაციათა ჩამოსვლამ საბჭოთა კავშირში და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციათა მოგზაურობამ ფინეთში, პოლონეთში, ალბანეთში, იუგოსლავიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, უნგრეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხელი შეუწყო პირადი კონტაქტების დამყარებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებსა და უცხო სახელმწიფოთა პარლამენტების წევრებს შორის და ამ ქვეყნების სახელმწიფოებრივი წყობილების, ეკონომიკისა და კულტურის და მათი ხალხების ყოფაცხოვრების უფრო ღრმად გაცნობას.

უცხოეთის საპარლამენტო დელეგაციებს, რომლებიც სსრ კავშირში ჩამოვიდნენ, შეეძლო დარწმუნებულიყვნენ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები, რომლებიც შემოქმედებითს აღმშენებლობით შრომას ეწევიან, სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებული მშვიდობის შენარჩუნებით და ერთსულოვნად უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციები თავის მხრივ ყველგან ხვდებოდნენ ხალხთა მხურვალე მისწრაფებას მშვიდობისადმი.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მიაჩნია, რომ საპარლამენტო დელეგაციების გაცვლა, ისევე როგორც საპარლამენტო ურთიერთობის სხვა ფორმების განვითარება, ხელს შეუწყობს ხალხთა ურთიერთგაგების შემდგომ გაუმჯობესებას და ამით კეთილმყოფელ გავლენას მოახდენს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაზე, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო აცხადებს, რომ პარლამენტების საქმიანობა საპარლამენტო ურთიერთობისა და კონტაქტების განვითარებისათვის საერთაშორისო თანამშრომლობისა და ქვეყნებს შორის ნდობის განმტკიცების სასარგებლოდ მომავალშიც ჰპოვებს მხურვალე თანაგრძნობასა და სრულ მხარდაჭერას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მთელი საბჭოთა ხალხის მხრივ.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 28 დეკემბერი.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

## ეროვნებათა საბჭოში

ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ნ. ე. ავხიმოვიჩის თავმჯდომარეობით, კამათში მოხსენების გამო სსრ კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გამოვიდა დეპუტატი კ. ტ. ტლოსტანოვი (ყაბარდოს ასსრ). მოიწონა რა სსრ კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, მან ილაპარაკა, თუ რა მიზნებს ხმარდება საბიუჯეტო ასიგნობანი ყაბარდოს რესპუბლიკაში. ამ სახსრების სამი მეოთხედი ხმარდება სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას.

აღნიშნა რა რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ერთგვარი წარმატებანი, დეპუტატმა ტლოსტანოვმა შემდეგ ილაპარაკა არსებით ნაკლოვანებებზე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაობაში.

დეპუტატმა ა. ა. მიურისეპმა (ესტონეთის სსრ) თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა ფიქალის მრეწველობის განვითარებას, რომელიც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგია. მან მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს მიმართ, რომელიც დამაკმაყოფილებლად ვერ წყვეტს ფიქალის ტვირთვისა და გამდიდრების შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საკითხებს. ნელა ინერგება ფიქალის ამოღების ღია მეთოდი.

გამოდის დეპუტატი ტ. ი. კისელიოვი (ბელორუსიის სსრ). იგი ლაპარაკობს საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკაზე. საბჭოთა ადამიანები, თქვა ამხ. კისელიოვმა, მხურვალედ და ერთსულოვნად იწონებენ ამხანაგების ბულგანინისა და ხრუშჩოვის ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში მოგზაურობის შედეგებს.

შეეხო რა შემდეგ რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობას, დეპუტატმა აღნიშნა, რომ ვადამდე შესრულდა ხუთწლიანი გეგმა და 1955 წლის გეგმა. წელს 1954 წელთან შედარებით წარმოების მოცულობა 13,5 პროცენტით გადიდდა.

დეპუტატი მ. ი. პლუდონი (ლატვიის სსრ) შეეხო სამმართველო აპარატის სტრუქტურის გაუმჯობესებისა და შემცირების საკითხს და აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახავი ხარჯები წელს 14 მილიონი მანეთით შემცირდა 1954 წელთან შედარებით. მაგრამ არის ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შემდგომი შემცირებისა და გაიაფების დიდი შესაძლებლობანი. არიან უწყებები, ამბობს ორატორი, სადაც ყოველ 100 მუშაზე 20-25 მოსამსახურე მოდის. ეს საქმე განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია დამამზადებელ ორგანიზაციებში, რომელთა შენახვა სახელმწიფოს წელიწადში 50 მილიონ მანეთზე მეტი უჯდება.

დეპუტატი პლუდონი მხარს უჭერს 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებას.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრს ვ. პ. ელიუტინს.

სახელმწიფო ბიუჯეტი, თქვა მან, მნიშვნელოვან ასიგნობებს ითვალისწინებს ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების, კულტურისა და განათლების შემდგომი განვითარებისათვის. ამჟამად უმაღლეს სასწავლებლებში 1 მილიონ 865 ათასი სტუდენტი სწავლობს. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა ყოველ წელიწადს იღებს 200 ათასზე მეტ კვალიფიციურ სპეციალისტს.

აღნიშნავს რა, რომ ათეულ ათასობით სტუდენტი ემზადება წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, ამხ. ელიუტინი ამბობს, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაფართოვდეს საღამოს და დაუსწრებელი განათლება.

ორატორი ეხება უმაღლესი სასწავლებლების მონაწილეობას ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში.

დეპუტატმა ს. კამალოვმა ილაპარაკა, თუ როგორ იბრძვიან უზბეკეთის სოფლის მეურნეობის მუშაკები ბამბის წარმოების გადიდებისათვის. ბამბის აგროტექნიკის ახალი პროგრესული მეთოდის შემოღებამ შესაძლებელი გახადა მკვეთრად შეგვემცირებინა ხელის შრომა და დიდ ფართობებზე გაგვედიდებინა ამ კულტურის მოსავლიანობა.

თავის სიტყვაში ამხ. კამალოვი შეეხო აგრეთვე რესპუბლიკის კულტურული და საბინაო მშენებლობის საკითხებს. მან, ისევე როგორც წინა ორატორებმა, მხარი დაუჭირა წინადადებას სსრ კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

დეპუტატმა მ. დ. დანილოვმა თავისი სიტყვა მიუძღვნა მარიელი ხალხის კულტურის განვითარებას. რესპუბლიკის დედაქალაქ იოშკარ-ოლაში არის ორი უმაღლესი სასწავლებელი, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, ექვსი სპეციალური საშუალო სასწავლებელი. მარტო ვოლგისპირეთის გორკის სახელობის მეტყევეობის ტექნიკურმა ინსტიტუტმა 3.500-ზე მეტი სპეციალისტი მოამზადა სატყეო მეურნეობისა და სატყეო მრეწველობისათვის. ამ ინსტიტუტის კოლექტივმა ომისშემდგომ წლებში დიდი სამუშაოები შეასრულა ვოლგისპირეთის ტყეების მოწყობაში, შეიმუშავა ტყის კაფვის, ტყის აღდგენის ახალი მეთოდები.

ამხ. დანილოვი აყენებს საკითხს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრომ მეტი ზრუნვა გამოიჩინოს პერიფერიის უმაღლეს სასწავლებელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის.

სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრმა დეპუტატმა ვ. პ. ზოტოვმა განაცხადა, რომ სასურსათო საქონლის მრეწველობამ 26 დეკემბერს შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. სამინისტროს საწარმოები წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ 3,5 მილიარდ მანეთისაზე მეტ პროდუქციას.

მინისტრმა აღნიშნა, რომ სასურსათო საქონლის მრეწველობის საწარმოთა მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია სერიოზული ნაკლოვანებანი, სამინისტრო იღებს ღონისძიებებს მათი აღმოფხვრისათვის.

ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე დეპუტატები მ. პ. გიორგაძე (საქართველოს სსრ), ა. ვ. გიტალოვი (უკრაინის სსრ) და ელექტროსადგურთა მშენებლობის მინისტრი თ. გ. ლოგინოვი. (საკდესა).

* * *

28 დეკემბერს მოსკოვში მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია.

დილის 9 საათზე კრემლის დიდ სასახლეში ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ნ. ე. ავხიმოვიჩის თავმჯდომარეობით გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს მესამე სხდომა. სსრ კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო კამათში სიტყვა ეძლევა დეპუტატ ი. პ. ხრამკოვს (ყაზახეთის სსრ). მან ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდება ეკონომიკა და კულტურა კუსტანაის ოლქში, რომელიც ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების მხრივ ყაზახეთის ერთ-ერთი უდიდესი რაიონი ხდება. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა აითვისეს 3.854 ათასი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა, 500 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე გათვალისწინებულია სახელმწიფო გეგმით.

დასასრულ დეპუტატი ხრამკოვი შეეხო ახალი მიწების და ოლქის ტერიტორიაზე აღმოჩენილი რკინის მადნის, მურა ქვანახშირისა და სხვა მადნეულის დიდი მარაგის შემდგომი ათვისების ამოცანებს. ისევე როგორც წინა ორატორებმა, დეპუტატმა მხარი დაუჭირა წინადადებას სსრ კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

დეპუტატ ხრამკოვის გამოსვლის შემდეგ ეროვნებათა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შეწყდეს კამათი დღის წესრიგის პირველი საკითხის გამო. საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა ა. გ. ზვერევმა. მან განაცხადა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ეთანხმება შესწორებებს, რომლებიც საბიუჯეტო კომისიამ გააკეთა, და მიზანშეწონილად მიაჩნია მიიღოს ისინი. კამათში გამოსული დეპუტატების მიერ გამოთქმულ წინადადებებს განიხილავს სსრ კავშირის მთავრობა.

ეროვნებათა საბჭო ერთხმად ამტკიცებს სსრ კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს შემოსავლის ნაწილში 592.761.156 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 569.634.972 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 23.126.184 ათასი მანეთის გადამეტებით. ასევე ერთხმად დამტკიცეს ანგარიში სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ და მიიღეს კანონი სსრ კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

ეროვნებათა საბჭო გადადის შემდეგი საკითხის განხილვაზე — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა ნ. მ. პეგოვმა. პალატა ერთხმად ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს.

ამის შემდეგ პალატა იწყებს სესიის დღის წესრიგის მესამე საკითხის განხილვას — დელეგაციების გაცვლა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსა და უცხო სახელმწიფოთა პარლამენტებს შორის. მოხსენება გააკეთა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ვ. ტ. ლაცისმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე 1955 წლის 9 თებერვალს, ამბობს იგი, მიღებულ იქნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაცია, რომელიც მიმართული იყო მსოფლიოს ყველა ხალხისა და პარლამენტისადმი. ამ დეკლარაციის მიღება იყო ახალი გამოვლინება საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული პოლიტიკისა, რომლის მიზანია ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფა სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპის შესაბამისად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაციას დადებითად შეხვდა მსოფლიოს ბევრი პარლამენტი. მის მხარდასაჭერად რეზოლუციები მიიღეს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივმა კომიტეტმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პარლამენტებმა. დეკლარაციას აგრეთვე თანაგრძნობით გამოეხმაურნენ ინდოეთის, შვეციის, საფრანგეთის, სირიის, იტალიის, კანადის, ინგლისის, ბელგიის, საბერძნეთის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების საპარლამენტო წრეები.

მომხსენებელმა მწუხარება გამოთქვა, რომ დღემდე ზოგიერთი უცხო სახელმწიფოს პარლამენტებს არ მიუღიათ დადებითი გადაწყვეტილება ამ საკითხზე. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების საპარლამენტო დაწესებულებებს არათუ არ გამოუთქვამთ სურვილი გაეცვალათ საპარლამენტო დელეგაციები საბჭოთა კავშირთან, არამედ არც კი განუხილავთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაცია.

დეპუტატმა ლაცისმა შემდეგ განაცხადა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ საბჭოთა კავშირში უკვე იყვნენ ინდოეთის, შვეციის, სირიის, იუგოსლავიის, იაპონიის, ბელგიის, საფრანგეთის, ლუქსემბურგის, ალბანეთისა და ავსტრიის საპარლამენტო დელეგაციები. ამჟამად სსრ კავშირში სტუმრად არიან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და ირანის საპარლამენტო დელეგაციები.

უცხო სახელმწიფოთა პარლამენტების მიწვევით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციები აგრეთვე იყვნენ მთელ რიგ ქვეყნებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და უცხო სახელმწიფოთა პარლამენტების დელეგაციათა მომხდარი გაცვლის ძირითადი შედეგი ის არის, ამბობს ვ. ტ. ლაცისი, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინადადებამ სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტებს შორის უშუალო კავშირის დამყარების და საპარლამენტო დელეგაციების გაცვლის შესახებ სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება და, უეჭველია, ხელი შეუწყო ხალხთა ურთიერთგაგებისა და მეგობრობის უზრუნველყოფას.

ვ. ტ. ლაცისმა აღნიშნა საპარლამენტთაშორისო კავშირში სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის შესვლის დიდი მნიშვნელობა. მისმა მონაწილეობამ 1955 წლის აგვისტოში საპარლამენტთაშორისო კავშირის 44-ე კონფერენციაში ხელი შეუწყო პარლამენტებს შორის თანამშრომლობის სულისკვეთების განმტკიცებას და, ფართო საერთაშორისო წრეების აღიარებით, მნიშვნელოვნად ამაღლა ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ავტორიტეტი.

ვ. ტ. ლაცისმა აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ 1955 წელს დამყარდა პირადი კონტაქტი საბჭოთა კავშირისა და მთელი რიგი უცხო სახელმწიფოების სახელმწიფო მოღვაწეთა შორის. სსრ კავშირში იყვნენ ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ხო ში მინი, ფინეთის პრეზიდენტი ი. კ. პაასიკივი, ბირმის პრემიერ-მინისტრი უ ნუ, ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ეინარ გერჰარდსენი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტევოლი, ავსტრიის ფედერალური კანცლე-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

## ეროვნებათა საბჭოში

(დასასრული)

რი იულიუს რააბი, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კანცლერი კონრად ადენაუერი, კანადის საგარეო საქმეთა მინისტრი ლესტერ პირსონი და სხვები. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამხანაგების ნ. ა. ბულგანინის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ა. ი. მიქოიანის გამგზავრებას იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში და ამხანაგების ბულგანინისა და ხრუშჩოვის ვიზიტს ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში.

ჩვენ იმედი გვაქვს, თქვა დასასრულ ვ. ტ. ლაცისმა, რომ საპარლამენტო დელეგაციების გაცვლის ის დადებითი გამოცდილება, რომელიც 1955 წელს იყო, კიდევ უფრო გაფართოვდება და ამით ხელს შეუწყობს ხალხთა შორის მშვიდობის შემდგომ განმტკიცებას.

ამხ. ვ. ტ. ლაცისის მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ დეპუტატები **ნ. ე. ავხიმოვიჩი** (ბელორუსიის სსრ), **მ. პ. ტარასოვი** (რუსეთის სფსრ), **გ. ი. რუდი** (მოლდავეთის სსრ), **ს. ნურუტდინოვი** (უზბეკეთის სსრ), **პ. გ. ტიჩინა** (უკრაინის სსრ), **პ. გ. მოსკატოვი** (რუსეთის სფსრ), **მ. ი. კუჭავა** (საქართველოს სსრ) და **მ. მ. ალიევი** (აზერბაიჯანის სსრ).

ორატორები მხურვალედ იწონებდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია სახელმწიფოთა ურთიერთგაგების შემდგომი გაუმჯობესება და საერთაშორისო დაძაბულობის შენელება. დეპუტატები აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელთა მეგობრობის ვიზიტმა ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში, ისევე როგორც სსრ კავშირში უცხო ქვეყნების საპარლამენტო დელეგაციებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა ჩამოსვლამ, თვალნათლივ დაგვანახვა, რომ სავსებით შესაძლებელია სახელმწიფოთა თანამშრომლობა, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილებისა.

სხვა ქვეყნებში მოგზაურობის დროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგატები ხვდებოდნენ მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას, სახელმწიფო მოღვაწეებს. ისინი მეგობრულად უზიარებდნენ მათ სსრ კავშირის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გამოცდილებას და თავის მხრივ ხედავდნენ ბევრ ძვირფასს და საინტერესოს, რის გამოყენებაც შეიძლება საბჭოთა კავშირში.

დეპუტატმა **ნ. ე. ავხიმოვიჩმა** დამსწრეთ გაუზიარა შთაბეჭდილებანი მიმდინარე წლის ოქტომბერში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ყოფნის შესახებ იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში, სადაც იგი იყო იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის მიწვევით. ჩვენ სიხარულით დავრწმუნდით, თქვა ამხ. ავხიმოვიჩმა, რომ იუგოსლავმა ხალხმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობაში, მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

— იუგოსლავიაში ყოფნისას ჩვენ დავრწმუნდით, რომ ვითარება, რომელიც კეთილსასურველად შეიქმნა იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ხელმძღვანელთა ბელგრადის თათბირის შემდეგ, კარგი საფუძველია იმისათვის, რომ განვითარდეს ჩვენი ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების სულ სხვადასხვა დარგში, რითაც, როგორც ცხოვრებამ დაგვანახვა, დაინტერესებულია ორივე სახელმწიფო. ეს სავსებით შეესაბამება საყოველთაო მშვიდობისა და ევროპის ხალხთა უშიშროების განმტკიცების ამოცანას, აგრეთვე ხელს შეუწყობს ვითარების გაუმჯობესებას ბალკანეთში და მთლიანად საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ჩეხოსლოვაკიაში მოგზაურობის შესახებ ილაპარაკა დეპუტატმა **მ. პ. ტარასოვმა**. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, ესტონეთის, მოსკოვის, ლენინგრადის, ჩელიაბინსკის ოლქისა და კრასნოდარის მხარის წარმომადგენლები, იყო 10 ოლქში, მსხვილ სამრეწველო ცენტრებში. ჩვენმა დელეგაციამ, თქვა მან, თან ჩამოიტანა ჩეხოსლოვაკიის ხალხის ძმური სალამი სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსადმი, მთელი საბჭოთა ხალხისადმი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი. ჩეხოსლოვაკიის ხალხის გულში, სულში, პრაქტიკულ საქმეებში ცოცხლობს კლემენტ გოტვალდის სიტყვები: „საბჭოთა კავშირთან სამუდამოდ".

საინტერესო ციფრები და ფაქტები მოიყვანა თავის სიტყვაში დეპუტატმა **ს. ნურუტდინოვმა**. საბჭოთა უზბეკეთში უკანასკნელი ორი წლის მანძილზე იყო 59 ქვეყნის 117 უცხო დელეგაცია. აქ იყო 422 უცხოელი ტურისტი. აქ ჩამოვიდნენ ალბანეთის, ინგლისის, არგენტინის, ბულგარეთის, ბრაზილიის, უნგრეთის, ვენესუელის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბერძნეთის, ინდოეთის, იტალიის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, კანადის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩეხოსლოვაკიისა და ბევრი სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლები. ყველასათვის კარი ღია გვქონდა, თქვა ამხ. ნურუტდინოვმა, ყველას ყურადღებითა და სტუმართმოყვარეობით შევხვდით, ყველას შეეძლო ენახა, რაც მას სურდა. დელეგაციებს შეეძლოთ თვალნათლივ დარწმუნებულიყვნენ, რომ უზბეკეთი არის თანასწორუფლებიანი მოკავშირე რესპუბლიკა, ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო ქვეყანა მსხვილი თანამედროვე მრეწველობით, მეურნეობის მოწინავე სოციალისტური სისტემით და დიდად განვითარებული კულტურით.

საგარეო საქმეთა კომისიის წევრის დეპუტატ **ი. ს. გრუშეცკის** წინადადებით ეროვნებათა საბჭომ მიიღო დადგენილება დელეგაციების გაცვლის შესახებ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსა და უცხო სახელმწიფოთა პარლამენტებს შორის, რომელშიც აღნიშნულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 9 თებერვლის დეკლარაციის კეთილნაყოფიერი გავლენა უცხო ქვეყნების პარლამენტებთან ურთიერთობის შემდგომ გაფართოებაზე. დადგენილებაში ნათქვამია, რომ საპარლამენტო დელეგაციების გაცვლა კვლავაც ჰპოვებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მთელი საბჭოთა ხალხის მხარდაჭერას.

## კავშირის საბჭოში

დღის 4 საათზე გაიმართა კავშირის საბჭოს სხდომა. თავმჯდომარე — კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. პ. მჟავანაძე** აცხადებს, რომ შემოვიდა წინადადება შეწყდეს კამათი სსრ კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო. ეს წინადადება მიღებულია.

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა **ა. გ. ზვერევმა** საბოლოო სიტყვაში თქვა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხარს უჭერს კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მიერ შეტანილ წინადადებებს, აგრეთვე გულდასმით განიხილავს იმ წინადადებებს, რომლებიც დეპუტატებმა თავიანთ სიტყვებში გამოთქვეს.

კავშირის საბჭო ერთხმად ამტკიცებს სსრ კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, ანგარიშს 1954 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ და იღებს კანონს სსრ კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

შემდეგ კავშირის საბჭომ მოისმინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ **ნ. მ. პეგოვის** მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა შესახებ, რომლებიც მიღებულია სესიებს შორის. პალატა ერთხმად ამტკიცებს ბრძანებულებებს.

დღის წესრიგის მესამე პუნქტის შესახებ — დელეგაციების გაცვლა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსა და უცხო სახელმწიფოთა პარლამენტებს შორის — მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს დეპუტატ **ვ. პ. მჟავანაძეს**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 9 თებერვლის დეკლარაცია, თქვა მან, მხურვალედ მოიწონეს სხვა სახელმწიფოთა საპარლამენტო წრეებმა და მოსახლეობამ. იგი უაღრესად დადებითად მიიღო უცხო ქვეყნების ყველა იმ წრემ, რომლებიც დაინტერესებული არიან მშვიდობის დაცვითა და შენარჩუნებით. საპარლამენტო დელეგაციების გაცვლამ, რაც 1955 წელს მოხდა, ცხადყო, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინადადება სხვადასხვა ქვეყნების პარლამენტებს შორის უშუალო კავშირის დამყარების შესახებ უეჭველია ხელს უწყობს ხალხებისა და სახელმწიფოების უფრო ღრმა ურთიერთგაგებას და, მაშასადამე, ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წელს სსრ კავშირში უცხოეთის ბევრი საპარლამენტო დელეგაცია იყო. საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეებისა და საბჭოთა მოქალაქეების შეხვედრები უცხოეთის დელეგაციებთან მუდამ მიმდინარეობდა მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში, ამ შეხვედრებს ჰქონდა გულახდილი საუბრისა და სხვადასხვა საკითხზე აზრთა თავისუფალი ურთიერთგაზიარების ხასიათი.

ჩვენ, ხაზგასმით აღნიშნა ვ. პ. მჟავანაძემ, გამოვიჩინეთ მისწრაფება დაგვეკმაყოფილებინა ჩვენი სტუმრების ყველა სურვილი და მიგვეცა ამომწურავი პასუხი მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე.

როგორც სსრ კავშირში ყოფნის დროს, ისე სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უცხოეთის საპარლამენტო დელეგაციათა წევრები არაერთხელ აცხადებდნენ, რომ მიზანშეწონილია კონტაქტის დამყარება საბჭოთა კავშირთან მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის სულ სხვადასხვა დარგში.

ამ ბოლო დროს უცხო სახელმწიფოთა პარლამენტების მიწვევით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციები იყვნენ მთელ რიგ ქვეყნებში: ფინეთში, პოლონეთში, ალბანეთში, იუგოსლავიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ყველა ამ ქვეყანაში საბჭოთა პარლამენტარებს ფართო შესაძლებლობა მიეცათ გასცნობოდნენ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას.

უცხო სახელმწიფოებში ყოფნის დროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგატები ათვალიერებდნენ საწარმოებს, დაწესებულებებს, ხვდებოდნენ მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, მეგობრულად უზიარებდნენ მათ საბჭოთა კავშირის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გამოცდილებას. თავის მხრივ საბჭოთა დელეგაციების წევრებმა ბევრი რამ ძვირფასი და საინტერესო ნახეს ამ ქვეყნებში სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის დარგში, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებათა მუშაობაში, რაც დიდი სარგებლობით შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენს სამშობლოში.

მოხსენებაში მოყვანილი იყო მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებას. თუ 1950 წელს სსრ კავშირში იყო 156 სხვადასხვა უცხო დელეგაცია, 1955 წლის 11 თვეში ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა 700-მდე უცხო დელეგაცია და 6 ათასამდე ტურისტი. საბჭოთა კავშირიდან საზღვარგარეთ გაემგზავრა 600-ზე მეტი საბჭოთა დელეგაცია და ბევრი ტურისტი.

იმედი გვაქვს, თქვა დასასრულ დეპუტატმა მჟავანაძემ, რომ საპარლამენტო დელეგაციების გაცვლის ის დადებითი გამოცდილება, რომელიც 1955 წელს იყო, მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდება და ამით ხელს შეუწყობს ხალხთა შორის მშვიდობის შემდგომ განმტკიცებას.

შემდეგ დაიწყო კამათი მოხსენების გამო. დეპუტატები ერთსულოვნად იწონებდნენ საბჭოთა მთავრობის მიერ მიმდინარე წელს გადადგმულ ნაბიჯებს, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, ხალხთა შორის თანამშრომლობის გაფართოება და მშვიდობის საქმის განმტკიცება. ისინი ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგების ბულგანინისა და ხრუშჩოვის გამგზავრებას მეგობრობის ვიზიტით ინდოეთში, ბირმაში, ავღანეთში, უზიარებდნენ დამსწრეთ თავიანთ შთაბეჭდილებებს უცხო სახელმწიფოებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციების მოგზაურობის შესახებ.

მიმდინარე წლის ოქტომბერში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია იყო ბულგარეთში. დეპუტატმა **ნ. ი. ბელიაევმა**, რომელიც ამ დელეგაციას მეთაურობდა, ილაპარაკა იმაზე, თუ რა გულითადად ხვდებოდა ამ ქვეყნის ხალხი საბჭოთა კავშირის წარგზავნილებს. ეს იყო აღმაფრთოვანებელი დემონსტრაცია ბულგარელი ხალხის უდიდესი სიყვარულისა ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხისადმი, თქვა მან. ბულგარეთში ყოფნის დროს დელეგაციამ მოიარა მთელი რიგი ქალაქები და სოფლები, იყო დიდი ჰიდროსადგურების, წყალსაცავების მშენებლობებზე, გაეცნო მრავალი სამრეწველო საწარმოს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის, სახელმწიფო მეურნეობის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშაობას.

დეპუტატმა ბელიაევმა ილაპარაკა იმ დიდ ცვლილებებზე, რომლებიც ბულგარეთში მოხდა სახალხო ხელისუფლების არსებობის მანძილზე. ბულგარეთში აშენდა მრავალი ქარხანა და ფაბრიკა, ელექტროსადგურები, შახტები, კულტურული და გამაჯანსაღებელი დაწესებულებები, სკოლები, დიდი ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობაში.

ჩვენი დელეგაციის გამგზავრებამ ბულგარეთში, თქვა დასასრულ ორატორმა, კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი ხალხების ძმური გულითადი ურთიერთობა და უეჭველია წვლილი იყო მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული ქვეყნების ხალხთა შემდგომი დარაზმვის საქმეში.

დეპუტატმა **ი. კ. ზამჩევსკიმ** (ლენინგრადი) თავის სიტყვაში მოიყვანა აზრები, გამოთქმული მთელი რიგი უცხოელი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების მიერ, რომლებიც ლენინგრადში იყვნენ. ისინი გამოთქვამდნენ მადლობას იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცათ ყოველმხრივ გასცნობოდნენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრებასა და შრომას, გამოთქვამდნენ აღტაცებას იმ მამაცობითა და გმირობით, რომელიც ლენინგრადელებმა გამოიჩინეს დიდი სამამულო ომის დროს და მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის წლებში.

1955 წლის მანძილზე ლენინგრადში იყო 600-ზე მეტი უცხოელთა დელეგაცია, ხოლო ტურისტებთან ერთად ამ ქალაქში იყო 68 ქვეყნის 10 ათასზე მეტი უცხოელი. მათ შორის იყვნენ მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, ინჟინრები, კომერსანტები, მუშები, კულტების მსახურები. უცხოელ სტუმრებს შეეძლოთ გასცნობოდნენ ლენინგრადში ყველაფერს, რაც მათ აინტერესებდათ.

დეპუტატმა **ნ. ს. პატოლიჩევმა** (ბელორუსიის სსრ) ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდი გულთბილობით შეხვდნენ საბჭოთა პარლამენტარებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მცხოვრებნი. საბჭოთა კავშირის დელეგაციის წევრები ხვდებოდნენ მაღაროელებს, გემთმშენებლებს, ქიმიური ქარხნებისა და საფეიქრო ფაბრიკების მუშებს, ეცნობოდნენ ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევებს, რომელმაც ექვსი წლის არსებობის მანძილზე მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა თავისი სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში. ეყრდნობა რა დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების დახმარებას, ძლევს რა სიძნელეებს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გამოვიდა სოციალისტური მშენებლობის ფართო გზაზე.

დეპუტატმა პატოლიჩევმა გამოთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ყოფნა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხელს შეუწყობს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეს.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ აგრეთვე დეპუტატი **ნ. მ. პეგოვი**, რომელმაც დამსწრეთ გაუზიარა შთაბეჭდილება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ყოფნის შესახებ, და დეპუტატი **მ. ს. სინიცა** (კიევის ოლქი), რომელმაც ილაპარაკა უკრაინელი ხალხის შეხვედრებზე ინდოეთის, იუგოსლავიის, საფრანგეთის, შვეციის, სირიის, იაპონიის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან, რომლებიც წელს იყვნენ საბჭოთა კავშირში.

პალატამ საგარეო საქმეთა კომისიის წევრის დეპუტატ **ი. გ. კებინის** (ესტონეთის სსრ) წინადადებით ერთხმად მიიღო დადგენილება დელეგაციების გაცვლის შესახებ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსა და უცხო სახელმწიფოთა პარლამენტებს შორის.

კავშირის საბჭოს სხდომა ამით დახურულად ცხადდება.

29 დეკემბერს დილის 10 საათზე გაიმართება კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა. (საკდესი).

# საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობისათვის

მოსკოვში წარმატებით დამთავრდა მოლაპარაკება სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაციას შორის, რაც მიმდინარეობდა მეგობრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით, და ამა წლის 27 დეკემბერს ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ოქმს 1956 წელს საქონელბრუნვის შესახებ.

ოქმი ითვალისწინებს სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის საქონელბრუნვის შემდგომ გადიდებას.

საბჭოთა კავშირი 1956 წელს ჩინეთს მიაწვდის ლითონსაჭრელ ჩარხებს, უროებსა და წნეხებს, ორთქლის ქვაბებს, დიზელებს, საშახტე ამწე მანქანებს, საბურღავ ჩარხებს და დანადგარებს, ტურბინმფრქვევებს, კარიერის სადგურებს, საგზაო-სამშენებლო მანქანებს, ექსკავატორებს, ტუმბოებს, კომპრესორებს, ხელსაწყოებს, ავტომანქანებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და სხვა სახეობის მოწყობილობას, აგრეთვე ნავთობპროდუქტებს, შავ ლითონებს, კაბელის ნაწარმსა და სხვა საქონელს, რაც საჭიროა ჩინეთის სახალხო მეურნეობისათვის.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა საბჭოთა კავშირს მიაწვდის ვოლფრამს, მოლიბდენს, კალას, ვერცხლისწყალს, სურმას, მატყლს, ნედლ აბრეშუმს, ჯუტს, რამს, აბრეშუმისა და შალის ქსოვილებს, სოიას, არახისს, ბრინჯს, ხორცს, ჩაის, ციტრუსებს, ტუნგოს ზეთს, თამბაქოს, ტყავის ნედლეულს, ჯაგარს, შინამრეწველურ-მხატვრულ ნაკეთობასა და სხვა საქონელს.

მოლაპარაკების მსვლელობაში მხარეები აგრეთვე შეთანხმდნენ გაფართოვდეს საქონლის ტრანზიტი ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე და განიხილეს ორივე ქვეყანას შორის საგარეო ვაჭრობის ტვირთების გადაზიდვის საკითხები იმასთან დაკავშირებით, რომ მალე გაიხსნება სარკინიგზო მიმოსვლა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაზე გავლით.

საბჭოთა კავშირის მხრივ ოქმს ხელი მოაწერა საგარეო ვაჭრობის მინისტრმა **ი. გ. კაბანოვმა**, ჩინეთის მხრივ — სავაჭრო დელეგაციის მეთაურმა, საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველმა მოადგილემ **ლი ჯე-ქენმა**.

# საქართველოს კომკავშირის XXI ყრილობა

ამ დღეებში მუშაობა დაამთავრა საქართველოს კომკავშირის XXI ყრილობამ. ყრილობამ ჩაიარა უდიდესი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია იმით, რომ წარმატებით ხორციელდება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიმართულია მრეწველობის, პირველ რიგში მძიმე ინდუსტრიის, და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგის შემდგომი განვითარებისაკენ, საბჭოთა ადამიანების განუწყვეტლივ მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებისაკენ.

მქუხარე ტაშით, უდიდესი აღფრთოვანებით დელეგატებმა ყრილობის საპატიო პრეზიდიუმის შემადგენლობაში აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

საანგარიშო მოხსენება ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **თ. ჯანელიძემ**.

— რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, — თქვა მომხსენებელმა, — საანგარიშო პერიოდში, განსაკუთრებით საკავშირო ალკკ XII ყრილობის შემდეგ, გააძლიერეს თავიანთი აქტივობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში. მოწინავე სამრეწველო საწარმოებმა — კიროვის სახელობის ჩარხმშენებელმა ქარხანამ, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატმა, თბილისის საელმავლო დეპომ, ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობისა და სტალინის სახელობის შახტებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფო დავალებანი. ამაში მცირე დამსახურება როდი მიუძღვით კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ ახალგაზრდობის შრომით აქტივობას, დარაზმეს ახალგაზრდობა ახალ საწარმოო წარმატებათა მოსაპოვებლად.

გასულ წელს თბილისის ახალგაზრდობამ შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა. კომკავშირის მოწოდებით ასობით ჭაბუკი და ქალიშვილი წავიდა ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე. ამ თაოსნობას მხურვალედ გამოეხმაურა რესპუბლიკის ყველა კომკავშირული ორგანიზაცია. სულ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე გაიგზავნა ოთხი ათასზე მეტი ახალგაზრდა პატრიოტი.

რესპუბლიკაში დღითიდღე იზრდება წარმოების ახალგაზრდა მოწინავე მუშაკთა რიგები. მათ ღირსეული წვლილი შეაქვთ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში, წარმატებით ასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებებს.

ი. ბ. სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში თავდადებულად შრომობენ კომკავშირელები ა. ზარიძე და ვ. ჭაბაშვილი. ისინი ცდილობენ მიაღწიონ იმას, რომ № 5 ღუმელის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა მხოლოდ ჩქაროსნულ ნადნობებს იძლეოდეს.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლები აქვს თბილისის საელმავლო დეპოს ახალგაზრდობასაც.

წარმატებით ასრულებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს ქუთაისის ახალგაზრდობა.

ლაპარაკობს რა ახალგაზრდობის შრომით აქტივობაზე, მომხსენებელი ამასთან ერთად დაწვრილებით ეხება ნაკლოვანებებს სამრეწველო საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში. მას მოჰყავს მაგალითები და ფაქტები, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ ზოგიერთი კომკავშირული კომიტეტი ჯეროვან დახმარებას არ უწევს საწარმოთა ხელმძღვანელებს ქარხნებისა და ფაბრიკების, შახტებისა და ახალმშენებლობების ჩამორჩენის ლიკვიდაციაში, ნაკლებად ზრუნავს სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის, შემოქმედებითად არ უდგება წარმოების საკითხების გადაწყვეტას. მაგალითად, ახალციხის მაღაროთსამმართველოს ზოგიერთ შახტში და სამშენებლო უბანზე დაბალია შრომის დისციპლინა — ახალგაზრდა მაღაროელები სამუშაოს აცდენენ, თვითნებურად ტოვებენ სამუშაოს. მაგრამ ყოველივე ეს როდი აშფოთებს კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

როგორც მოხსენებაში აღინიშნა, კომკავშირის ზოგიერთი საქალაქო კომიტეტი ჯერ კიდევ ზერელედ, საქმის უცოდინრად ხელმძღვანელობს სამრეწველო საწარმოთა კომკავშირულ ორგანიზაციებს.

საკმაოდ ოპერატიულად და კონკრეტულად ვერ ხელმძღვანელობენ სამრეწველო საწარმოთა კომკავშირულ ორგანიზაციებს კომკავშირის ბათუმის, თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის საქალაქო კომიტეტები.

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, — თქვა ამხ. ჯანელიძემ, — დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია რესპუბლიკის ახალგაზრდობაში. წარმოებაში მრავალი ჭაბუკები და ქალიშვილები ტექნიკური პროგრესისათვის აქტიური მებრძოლები გახდნენ. მაღალ შემოქმედებით აქტივობასა და ინიციატივას იჩენენ. მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ არიან კონსერვატორები და რუტინიორები, რომლებიც ხელოვნურ დაბრკოლებებს უქმნიან წარმოებაში ახლის, მოწინავის, პროგრესულის დანერგვას. დამახასიათებელია ასეთი ფაქტი. ქუთაისის ავტოქარხნის კომკავშირელმა ნ. ხაფავამ შეიტანა წინადადება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ერთ-ერთ საწარმოო პროცესში ფერადი ლითონი შეიცვალოს შავი ლითონით. ამ წინადადებას ქარხანაში გულგრილად მოეკიდნენ.

ზვერი არაფერი კეთდება იმისთვისაც, რომ ახალგაზრდობაში გავრცელდეს მთელ რიგ რაციონალიზატორულ წინადადებათა ავტორის — სოხუმის სართოქლმავლო დეპოს ზეინკლის ვ. კირილუკის მუშაობის გამოცდილება. მისი მუშაობის მეთოდებზე დაწერილია ბროშურა, მაგრამ ეს ბროშურა თითქმის წელიწადია დევს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ტექნიკურ განყოფილებაში და არ იცემა.

სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის მძლავრი საშუალებაა. სამწუხაროდ, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს იმას, რომ შეჯიბრებაში ჩაბმული იყოს ყველა ახალგაზრდა მუშა, რომ შეჯიბრება ქმედითი იყოს. ეხმარებოდეს ჩამორჩენილთ გამოასწორონ მდგომარეობა, ჩადგნენ მოწინავეთა რიგებში.

მომხსენებელი ჩერდება ახალგაზრდა მუშების საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებზე. იგი აკრიტიკებს სამრეწველო საწარმოთა კომკავშირულ ორგანიზაციებსა და სამეურნეო ხელმძღვანელებს, რომლებმაც ვერ მიაღწიეს იმას, რომ საერთო საცხოვრებლებში სანიმუშო წესრიგი დამყარდეს.

— ამოცანა ის არის, — განაცხადა მომხსენებელმა, — რომ გავაძლიეროთ პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდობაში, სამრეწველო საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა წარმართოთ წარმოებაში კომკავშირელთა როლის ამაღლებისაკენ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და ახალ წარმატებათა მიღწევისაკენ.

რესპუბლიკის ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას იღებს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარებაში. დამსახურებული პატივისცემით სარგებლობენ ჩაის ფოთლის მაღალი მოსავლის ოსტატები ი. და ნ. ბულისკერიები გალიდან, მევენახე ამხ. გოგიტიძე კობულეთიდან, ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი ამხ. ბერულავა ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობიდან, კომბაინერი ამხ. ბიძინაშვილი სიღნაღიდან და სხვები.

რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები, თქვა მომხსენებელმა, მხურვალედ გამოეხმაურნენ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის მოწოდებას. მათ მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოდ გაგზავნეს საში ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი. პირველი დღეებიდანვე ახალგაზრდობა აქტიურად ჩაება მეცხოველეობის სადგომების მშენებლობაში, აწარმოებს ბრძოლას მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის, პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

ახორციელებს რა პარტიის გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის ახალგაზრდობა ახლა მეტი მზრუნველობით ეკიდება სიმინდის მოყვანას. კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით შეიქმნა ათასზე მეტი ახალგაზრდული რგოლი და დამხმარე ჯგუფი სიმინდის ნათესების მოსავლელად.

საანგარიშო პერიოდში შესამჩნევად გააქტიურდა სოფლის კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა. მაგრამ ნაკლი მათ მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია. ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ახალგაზრდობის აღზრდას, უტიგდებენ იმას, რომ ბევრი ახალგაზრდა კოლმეურნე თავს არიდებს საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობას.

განსაკუთრებით ბევრი ახალგაზრდა არიდებს თავს საზოგადოებრივ შრომას თელავის რაიონის სოფელ ფშაველის კოლმეურნეობაში, ზუგდიდის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში. დაბალია შრომის დისციპლინა სავარეჯოს, სამტრედიის, თეთრი წყაროს, ხაშურის, გარეჯუბნის რაიონების კოლმეურნეობათა ახალგაზრდობის ნაწილში.

სოფლის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ გააძლიერონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ შრომას, გამონახონ ზემოქმედების ჯეროვანი საშუალებანი, შექმნან მათ გარშემო საყოველთაო გაკიცხვის ატმოსფერო.

მოხსენებაში მწვავედ გაკრიტიკებულ იქნენ კომკავშირის რაიკომები, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების ის მდივნები, რომლებიც ყურადღებას არ აქცევენ სოფლის ახალგაზრდობის აგროტექნიკური სწავლების მოწყობას, მოწინავე კოლმეურნეთა და მექანიზატორთა გამოცდილების შესწავლას, განზოგადებასა და გავრცელებას, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში სოციალისტური შეჯიბრების გაშლას.

შემდეგ მომხსენებელი ეხება აღმზრდელობითი მუშაობას რესპუბლიკის სკოლებში, სკოლების კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების საქმიანობას.

— ჩვენ ხშირად ვუსაყვედურებთ სასკოლო კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს, — თქვა ამხ. ჯანელიძემ, — იმას, რომ ისინი სუსტად უნერგავენ მოსწავლეებს ცოდნისა და შრომის სიყვარულს, მაგრამ არ ვასწავლით მათ, პრაქტიკულად როგორ გააკეთონ ეს. ამ მიზეზით მთელ რიგ სკოლებში, განსაკუთრებით სასოფლო სკოლებში, ცოცხალ, საინტერესო აღმზრდელობით მუშაობას ზოგჯერ ნოსაწყენი, ერთფეროვანი სხდომებითა და კრებებით ცვლიან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ საბჭოთა სკოლას დაუსახა ამოცანა — შეუდგეს პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებას. ამ მიმართულებით საინტერესო მუშაობა გასწიეს თბილისის 22-ე საშუალო სკოლაში. შეფის — კამვოლ-მაუდის კომბინატის კოლექტივის დახმარებით აქ არა მარტო მოაწყეს სახელოსნოები და სასწავლო კაბინეტები, არამედ დიდი აღმზრდელობითი მუშაობაც გაიჩაღეს მოსწავლეთა შორის. მოსწავლეებთან ნაყოფიერად მუშაობენ, კერძოდ, კომბინატის მოწინავე კომკავშირელები ამხ. სუმბაძე, ბალიგინა, სალაშენკო და სხვები.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით რესპუბლიკის ბევრ სხვა სკოლაზე, რომლებსაც საქმიანი, ყოველდღიური კავშირი არა აქვთ საწარმოთა კომკავშირულ ორგანიზაციებთან. როგორც სკოლაში, ისე ოჯახში მოზარდ თაობასთან აღმზრდელობითი მუშაობის სისუსტე იწვევს იმას, რომ მოზარდთა შორის აღმოფხვრილი არ არის საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევის ფაქტები.

— საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ ჩატარებულ პლენუმზე, რომელმაც განიხილა სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი, დაისახა ღონისძიებანი რესპუბლიკის სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. კომკავშირული ორგანიზაციები ვალდ მიიღონ ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება განუხრელად ხორციელდებოდეს.

მოხსენებაში აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ერთგვარი მუშაობა გასწიეს ახალგაზრდობის პოლიტიკური და თეორიული ცოდნის დონის ასამაღლებლად. მიმდინარე სასწავლო წელს შეიქმნა 2.862 პოლიტწრე და პოლიტსკოლა, რომლებშიც ჩაბმულია 50 ათასი მსმენელი, დამოუკიდებლად მეცადინეობს 33.800-ზე მეტი კაცი, პარტიული განათლების სისტემაში — 18 ათასამდე კაცი. მაგრამ ზოგიერთმა კომკავშირულმა მუშაკმა და აქტივისტმა არასწორად გაიგო სწავლებაში ნებაყოფლობის პრინციპი და შეასუსტა ყურადღება თავისი იდეურ-თეორიული ზრდისადმი.

მომხსენებელი აკრიტიკებს კომკავშირულ კომიტეტებს, რომლებიც ჯეროვან ზრუნვას არ იჩენენ ახალგაზრდობის პოლიტიკური სწავლებისადმი, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან პროპაგანდისტთა კადრების შერჩევას, არ მუშაობენ პროპაგანდისტებთან.

რესპუბლიკაში გადიდდა იმ ლექციების რაოდენობა, რომლებიც ახალგაზრდობისათვის იკითხება, გაუმჯობესდა მათი ხარისხი. მარტო საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ძალებით წაკითხულია 1.550 ლექცია. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ლექციური პროპაგანდა ჯერ კიდევ ჩამორჩება გაზრდილ მოთხოვნებს, მთელ რიგ შემთხვევებში მოხსენებები და ლექციები დაბალი ხარისხისაა, მათი შინაარსი მოწყვეტილია ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს. ზოგიერთ კომკავშირულ ორგანიზაციაში, განსაკუთრებით შორეულ რაიონებში, ლექციები არ იკითხება თვეობით, ხოლო ზოგჯერ წლობითაც.

ახალგაზრდობის იდეურ გამოწრთობაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს კომკავშირულმა პრესამ. ახალგაზრდობის რესპუბლიკურმა გაზეთებმა „ახალგაზრდა კომუნისტმა" და „მოლოდოი სტალინეცმა" გარკვეული მუშაობა გასწიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა პროპაგანდისათვის, ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად ახალგაზრდობის ძალების მობილიზაციისათვის. მაგრამ ახალგაზრდობის გაზეთების მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლია. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო ცუდად ხელმძღვანელობდა თავისი ბეჭდვითი ორგანოების მუშაობას. ამის შედეგი იყო ის, რომ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" ფურცლებზე ლიტერატურული კრიტიკის საკითხებზე გაშლილი დისკუსიის მსვლელობაში დაშვებულ იქნა უხეში შეცდომები და არევდარევა მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საკითხების გაგებაში. ნაკლოვანებები იყო „მოლოდოი სტალინეცის" რედაქციის მუშაობაშიც. გაზეთებმა უნდა გააძლიერონ კომკავშირული ორგანიზაციების ცხოვრების გაშუქება, განამტკიცონ კავშირი ავტორთა აქტივთან, უფრო კონკრეტულად და უკეთ იმუშაონ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, შემოქმედებითი კოლექტივების კომკავშირული კომიტეტები სუსტად წარმართავენ ახალგაზრდა მწერალთა, მსახიობთა, მხატვართა მუშაობას, არ უწევენ მათ ჯეროვან დახმარებას იდეურ და შემოქმედებით ზრდაში.

მოხსენებაში სერიოზული ყურადღება მიექცა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების, ახალგაზრდა სპორტსმენთა გამოვლინებისა და აღზრდის, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების დარგში.

შემდეგ მომხსენებელი გადადის კომკავშირული ორგანიზაციების ორგანიზაციულ განმტკიცებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

— საანგარიშო პერიოდში, — თქვა მან, — კომკავშირის რიგებში მიღებულია 94.330 ჭაბუკი და ქალიშვილი, რომელთა შორის 8.235 კოლმეურნეა და 10.979 მუშა. მაგრამ კომკავშირის რიგების ზრდაში ჯერ კიდევ ჩამორჩებით, საკმარისია ითქვას, რომ მიმდინარე წელს კომკავშირში არც ერთი კაცი არ მიუღია 5.406 პირველად კომკავშირულ ორგანიზაციას, მათ შორის 1.104 საკოლმეურნეო კომკავშირულ ორგანიზაციას.

არადამაკმაყოფილებლად იზრდება კომკავშირის რიგები მუშა ახალგაზრდობის ხარჯზე. ამ საქმეში განსაკუთრებით ცუდად მუშაობენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის, გორის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაციები და ახალციხისა და ხესტაფონის რაიონული კომკავშირული ორგანიზაციები.

მომხსენებელი აღნიშნავს კომკავშირული ორგანიზაციებისა და კომკავშირული ჯგუფების სუსტ მუშაობას საამქროებში, ბრიგადებში, მეცხოველეობის ფერმებში. ბევრი მათგანი თავის ამოცანებს ვერ ასრულებს. ბრიგადებისა და საამქროების კომკავშირულ ორგანიზაციებსა და ჯგუფებს კომკავშირის კომიტეტები კონკრეტულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას ვერ უწევენ.

— ნაკლოვანებანი შინაკომკავშირულ მუშაობაში, — თქვა ამხ. ჯანელიძემ, — ზოგჯერ აიხსნება იმით, რომ ზოგიერთმა რაიონულმა, საქალაქო და საოლქო კომიტეტმა არასწორად გაიგო საკავშირო ალკკ XII ყრილობის მითითებანი სამეურნეო საქმიანობაში კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის გაძლიერების შესახებ. ამის შედეგად მათ დაივიწყეს შინაკომკავშირული მუშაობა და მთლიანად გადავიდნენ სამეურნეო საქმეებზე, დაივიწყეს, რომ თუ მიღწეულ არ იქნა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცება, ისე მათი წარმატებანი სამეურნეო საქმიანობაში არ შეიძლება მტკიცე და ხანგრძლივი იყოს.

მომხსენებელი დაწვრილებით ჩერდება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის აპარატის მუშაობაზე, იმაზე, რომ ეს აპარატი საკმაოდ ოპერატიულად და კონკრეტულად ვერ ხელმძღვანელობს საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომკავშირულ ორგანიზაციებს. იგი აღნიშნავს, რომ მაშინ როცა ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორები მეტისმეტად დატვირთული არიან მივლინებებით, ცენტრალური კომიტეტის მდივნები, ბიუროს წევრები, განყოფილებათა გამგეები და გამგის მოადგილეები ძალიან იშვიათად მიდიან ადგილებზე. ბიურო ჯეროვან მომთხოვნელობას არ იჩენს კომკავშირული აქტივისადმი, სუსტად ახორციელებს კონტროლს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი.

— პარტიული ხელმძღვანელობა, — თქვა ამხ. ჯანელიძემ, — ყველაზე მთავარი, ყველაზე მნიშვნელოვანია კომკავშირის მთელ მუშაობაში. პარტიულ ხელმძღვანელობაშია კომკავშირის ძალის წყარო, ყველა მისი წარმატების საფუძველი. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით რესპუბლიკის კომკავშირი გადალახავს აღმოფხვრის ნაკლოვანებებს თავის მუშაობაში, მიაღწევს ახალ წარმატებებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში.

რესპუბლიკური კომკავშირული ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ ანგარიშით გამოვიდა **ბ. კუხიანიძე**.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი.

კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **ნ. ებრალიძემ** ილაპარაკა ქალაქის საწარმოთა კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მიერ მიღწეულ წარმატებებზე, მათ ბრძოლაზე ტექნიკური პროგრესისათვის, წარმოებაში მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის და მთავარი ყურადღება მიაქცია გადაუწყვეტელ ამოცანებს, სამრეწველო საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის დარგში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის ნაკლოვანებებს.

— რუსთავის საწარმოებში და მშენებლობებზე, — თქვა მან, — ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ვრცელდება შრომის მოწინავე მეთოდები, წარმოებაში სუსტად ინერგება ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, საკმაო ბრძოლა არ წარმოებს მომჭირნეობისათვის, მექანიზმების მუშაობის გახანგრძლივებისათვის. ამაში მნიშვნელოვანწილად მიუძღვით ბრალი საქალაქო კომიტეტს, აგრეთვე საწარმოთა და მშენებლობათა კომკავშირულ ორგანიზაციებს.

საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **თ. ბადურაშვილმა** თავისი

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# საქართველოს კომკავშირის XXI ყრილობა

(დასასრული)

გამოსვლა მიუძღვნა ახალგაზრდა მუშებს შორის აღმზრდელობითს მუშაობას. — საწარმოთა ჯერ კიდევ ყველა კომკავშირული ორგანიზაცია როდი ზრუნავს, — თქვა მან, — შრომის მოწინავე მეთოდების პროპაგანდისათვის. მაგალითად, ქარხანა „დაზგის" მუშა ამხ. შჩერბაკოვი გამოცდილების გადასაცემად მიწვეული იყო ურალის ერთ-ერთ ქარხანაში. ხოლო საწარმოს კომკავშირულ ორგანიზაციას, კომკავშირის ლენინის რაიკომს, საქალაქო კომიტეტს არც კი უფიქრიათ იმაზე, რომ მისი გამოცდილება თბილისის ქარხნებში გაევრცელებინათ.

სერიოზული ნაკლოვანებებია სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში. ამიერკავკასიის რკინიგზაზე მატარებლების მოძრაობასთან უშუალოდ დაკავშირებული 4.700 კომკავშირელიდან ექვსასი ჩაბმული არ არის შეჯიბრებაში.

ყრილობის დელეგატებმა მწვავედ გააკრიტიკეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, ახალგაზრდობის რესპუბლიკური გაზეთები იმისათვის, რომ ისინი ჯეროვნად არ ეხმარებიან საწარმოებისა და ტრანსპორტის კომკავშირულ ორგანიზაციებს სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში, ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ფორმალიზმის ლიკვიდაციაში.

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ჩქაროსანმა ხარატმა ა. აგაპოვმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ცუდად იციან საქმის მდგომარეობა ქარხანაში, სუსტად ეხმარებიან რესპუბლიკის ამ უდიდესი საწარმოს ახალგაზრდობას.

მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის, სკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში ახალგაზრდობის მონაწილეობის საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგმა ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში ი. სალაძემ, ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწემ კომკავშირის ხაზით ო. ღლონტმა და სხვებმა.

ტყვარჩელის № 2 სამთო-სამრეწველო სკოლის მოსწავლემ ვ. ზოლოტარენკომ და საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს უფროსის მოადგილემ პოლიტმასობრივი მუშაობის დარგში კ. მიქიაშვილმა ილაპარაკეს შრომითი რეზერვების სასწავლებლების მუშაობაზე. ვ. ზოლოტარენკომ, კერძოდ, გააკრიტიკა შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველო და საკავშირო სამმართველო, რომლებიც ნაკლებად ზრუნავენ ახალგაზრდა მუშების მომზადების ხარისხზე, მათს მოთხოვნილებებსა და საჭიროებებზე.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სახელოსნო სასწავლებლები და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები ხშირად უშვებენ ახალგაზრდა მუშებს, რომლებიც ცუდად არიან დაუფლებული სპეციალობას. საწარმოებში საჭირო ხდება მათი ხელახლა სწავლება.

ყრილობის დელეგატებმა სერიოზული ყურადღება მიაქციეს ახალგაზრდობის საყოფაცხოვრებო მოწყობის საკითხებს. აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა და საწარმოების ხელმძღვანელები ნაკლებად ზრუნავენ ახალგაზრდა მუშების საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, აგრეთვე საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთი საწარმოს საერთო საცხოვრებლებში შექმნილი არ არის ნორმალური კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. ამ საწარმოებში კლუბების მშენებლობა ჭიანურდება ან სულაც არ წარმოებს, სასადილოების მუშაობა არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული.

რესპუბლიკის ახალგაზრდობამ, რომელიც ახორციელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, ცოტა რამ როდი გააკეთა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ასამაღლებლად, საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის გასადიდებლად.

ამასთან ერთად ყრილობაზე აღინიშნა, რომ სასოფლო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას, კომკავშირის რაიონული და საოლქო კომიტეტების მხრივ მათს ხელმძღვანელობას არსებითი ნაკლოვანებები ახასიათებს. ამ ნაკლოვანებებზე, კერძოდ, ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ი. კვიცინიამ, საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. თენიეშვილმა და კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ვ. ცხოვრებოვმა, ზუგდიდის, წითელწყაროს და დმანისის რაიკომების მდივნებმა ნ. ჩხოლარიამ, შ. ცხვარაძემ, ბ. ყარალოვმა და სხვებმა.

კომკავშირული ორგანიზაციების სუსტი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ბევრია ჭაბუკი და ქალიშვილი, რომლებიც არ იმუშავებენ შრომადღეების სავალდებულო მინიმუმს ან სულაც არ მონაწილეობენ საზოგადოებრივ შრომაში. ზუგდიდის რაიონში 200 ახალგაზრდა, რომლებმაც წელს დაამთავრეს საშუალო სკოლები, უსაქმურად დადის. 94 კომკავშირელს არ გამოუმუშავებია შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი, ხოლო 57-ს მონაწილეობა არ მიუღია საკოლმეურნეო შრომაში.

ყრილობამ მოსთხოვა რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებს გააძლიერონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა სოფლის ახალგაზრდობაში, გადამწყვეტი ღონისძიებანი მიიღონ ისეთი სამარცხვინო მოვლენების აღმოსაფხვრელად, როგორიც არის ფიზიკური შრომის უგულებელყოფა.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოდ თუმცა მნიშვნელოვანი რაოდენობით გაგზავნეს ალკკ წევრები, მაგრამ ჯერ კიდევ სუსტად ზრუნავენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის, მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. ცუდად წარმოებს ახალგაზრდობასთან მუშაობა საზამთრო საძოვრებზე.

კომკავშირის თიანეთის რაიკომის მდივანმა მ. გონჯილაშვილმა და სხვა დელეგატებმა ილაპარაკეს იმაზე, რომ სოფლის ახალგაზრდობის შრომითი საქმიანობის ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ზოგჯერ არადიფერენცირებულად ახორციელებს ხელმძღვანელობას კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, მათდამი კონკრეტულ ხელმძღვანელობას ხშირად ცვლის სასხდომო ფაციფუცითა და მიწერმოწერით. მიიღო რა გადაწყვეტილება ახალგაზრდა მეჩაიეთა რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ, ცენტრალურმა კომიტეტმა არ იზრუნა იმისათვის, რომ მოეწყო ახალგაზრდობის შეჯიბრება რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში.

ყრილობის ყურადღების ცენტრში იყო კომკავშირელებსა და ახალგაზრდობაში იდეოლოგიური მუშაობის საკითხები. მოხსენებაში და დელეგატების გამოსვლებში აღინიშნა, რომ, მიუხედავად მნიშვნელოვანი მუშაობისა, რაც გაწეულ იქნა ამ დარგში, კიდევ ბევრია ნაკლი ახალგაზრდობის იდეოლოგიურ აღზრდაში. მთელ რიგ შემთხვევებში პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მოწყვეტილია ცხოვრებას, კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებს. ლექციურ პროპაგანდას ჯერ კიდევ აკადემიური ხასიათი აქვს. ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი ჩაბმული არ არის პოლიტიკურ განათლებაში, დაბალ დონეზე წარმოებს კულტურულ-მასობრივი მუშაობა, განსაკუთრებით სასოფლო რაიონებში.

დელეგატები ლაპარაკობდნენ, რომ მთელი რიგი პროპაგანდისტები და აგიტატორები არ მუშაობენ დამაკმაყოფილებლად, რომ მათ ნაკლებ დახმარებას უწევენ პოლიტიკური ცოდნისა და მეთოდური ჩვევების ამაღლებაში. პოლიტწრეებისა და სკოლების ზოგიერთი ხელმძღვანელი მეცადინეობის ჩატარებისას არ იყენებს თვალსაჩინო ხელსაწყოებს, მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებებს.

ყრილობამ კომკავშირულ ორგანიზაციებს მოსთხოვა მეტი ყურადღება მიაქციონ საბჭოთა პატრიოტიზმის, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების პროპაგანდას.

ყრილობის დელეგატებმა მწვავედ გააკრიტიკეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება იმისათვის, რომ იგი ჯეროვან ინიციატივას არ იჩენს მუშაობაში, საკმაოდ არ უგდებს ყურს კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები, ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები ჯერ კიდევ იშვიათად, შემთხვევიდან შემთხვევამდე, გამოდიან ახალგაზრდობის, განსაკუთრებით სოფლის ახალგაზრდობის წინაშე. სათანადოდ ვერ მუშაობს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფი.

ახალქალაქის რაიკომის მდივანმა კ. ოვანოლიანმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის წევრები იშვიათი სტუმრები არიან მთიან რაიონებში. მან აღნიშნა, რომ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება არ ზრუნავს იმისათვის, რომ რაიონში შექმნილი პოლიტწრეებისა და პოლიტსკოლების მსმენელები უზრუნველყოს ლიტერატურით მშობლიურ ენაზე.

დელეგატმა გ. მახარაშვილმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანებს ათეისტური პროპაგანდის გაშლაში. დელეგატმა დ. ზახოვაევმა ყრილობის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა უფრო ფართოდ გაიშალოს ლექციური პროპაგანდა, რომლის მიზანი უნდა იყოს სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცება და გაფართოება. ამხ. ზახოვაევმა დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ ახალგაზრდობის წინაშე უფრო ხშირად გამოდიოდნენ ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები.

ყრილობის დელეგატებმა სერიოზული პრეტენზიები წაუყენეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს. მათ მოიყვანეს ბევრი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ, რომ სამინისტროს მუშაკებს ბოლომდე არ აუღიათ ხელი ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიულ მეთოდებზე, ძალიან მცირე ყურადღებას აქცევენ სასოფლო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობას.

კომკავშირის ყვარლის რაიკომის მდივანმა გ. ზაუტაშვილმა თავის გამოსვლაში თქვა, რომ ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს, როდესაც საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განიხილავდნენ რესპუბლიკის ახალგაზრდობაში იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობის საკითხს, მან აღნიშნა, რომ ცუდად არის დაყენებული რაიონის მომარაგება მხატვრული ლიტერატურით. მაგრამ ამ სამართლიან შენიშვნას ყური არავინ ათხოვა. რაიონის საკოლმეურნეო ბიბლიოთეკებში მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებთა ნაცვლად იგზავნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მრავალი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერული შრომები.

ამავე საკითხზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში მახარაძის რაიონის გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ნ. სალუქვაძემ.

ყრილობის დელეგატებმა გააკრიტიკეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოფიკაციის სამმართველო, რომელიც სათანადოდ არ ზრუნავს სასოფლო რაიონების მოსახლეობის კინომომსახურებისათვის. ბევრი კულტურის სახლის, თეატრის, კლუბის, ბიბლიოთეკის მუშაობა ვერ აკმაყოფილებს ახალგაზრდობის გაზრდილ მოთხოვნებს.

ყრილობის დელეგატმა ქუთაისის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაციისაგან ახალგაზრდა პოეტმა გ. მუშკუდიანმა სამართლიანი პრეტენზიები გამოთქვა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მიმართ, რომელიც არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ახალგაზრდა მწერლებთან.

ყრილობის მთელმა რიგმა დელეგატებმა მხარი დაუჭირეს ამხ. მუშკუდიანს. დელეგატები აკრიტიკებდნენ საქართველოს მწერლებს, დრამატურგებს, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ შექმნეს კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა ყოველდღიური გმირული მუშაობის ამსახველი მაღალმხატვრული ნაწარმოებები.

კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ ახალგაზრდობას შეუქმნეს ყველა პირობა იმისათვის, რომ იგი ღრმად დაეუფლოს მეცნიერებას. რესპუბლიკაში ნაყოფიერად მუშაობს 19 უმაღლესი სასწავლებელი, 100-ზე მეტი ტექნიკუმი, რომლებშიც ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი მეცადინეობს.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგმა ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჭ. ჭყონიამ ილაპარაკა იმაზე, რომ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი უფრო მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებების მუშაობას. შეეხო რა უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას, ჭ. ჭყონიამ აღიარა, რომ ჯერ კიდევ დაბალ დონეზე წარმოებს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა სტუდენტებს შორის, რომ ამ მუშაობაში ჩაბმული არ არის ყველა პროფესორი და მასწავლებელი. კომკავშირული ორგანიზაცია სუსტად იბრძვის ახალგაზრდობაში დისციპლინის განმტკიცებისათვის, რის შედეგადაც სტუდენტების ერთი ნაწილი სჩადის ამორალურ საქციელს, არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს.

თბილისის 91-ე საშუალო სკოლის უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ლ. ადამიამ, სიღნაღის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლემ ლ. ასლამაზოვამ თავიანთ გამოსვლებში ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ იბრძვიან სკოლების პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები სწავლის ხარისხის ამაღლებისათვის, დისციპლინის განმტკიცებისათვის, ილაპარაკეს პირველ ნაბიჯებზე, რომლებიც გადადგმულია სწავლების პოლიტექნიზაციის საქმეში.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა გ. ჯიბლაძემ თავისი გამოსვლა მიუძღვნა ამოცანებს, რომლებიც დგას სკოლების კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების წინაშე. ისინი ყოველი ღონისძიებით უნდა უნერგავდნენ მოსწავლეებს შრომის სიყვარულს. ამ საქმეში მათ მუდმივ დახმარებას უნდა უწევდნენ სკოლისგარეშე ორგანიზაციები — პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეები და სახლები, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობასა და პიონერთა შორის მუშაობის განყოფილებას სერიოზული ნაკლოვანებები აქვს პრაქტიკულ საქმიანობაში. ამ განყოფილების მუშაკებს მჭიდრო კავშირი არა აქვთ სკოლებთან, განსაკუთრებით სასოფლო სკოლებთან.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა არმიის გენერალმა ი. ფედიუნინსკიმ საქართველოს კომკავშირელებს გადასცა ოლქის მეომართა მხურვალე სალამი. მან ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა რესპუბლიკის სკოლებში ამაღლდეს სასწავლო-აღმზრდელობითი და ფიზკულტურულ-სასპორტო მუშაობის დონე.

მოხსენებასა და დელეგატების გამოსვლებში დიდი ყურადღება ექცეოდა ახალგაზრდობაში ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის დაყენებას, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადებას. აღინიშნა, რომ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოები სუსტად მუშაობენ ამ საქმეში.

მოსალოდნელი იყო, რომ ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე, რომელიც ყრილობაზე გამოვიდა, დაწვრილებით შეჩერდებოდა კომიტეტის მუშაობის ნაკლოვანებებზე, მაგრამ იგი, სამწუხაროდ, ასე არ მოიქცა.

პატრიოტული ნებაყოფლობითი საზოგადოების — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მუშაობის საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ი. სილაგაძემ.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა გ. ქრისტესაშვილმა, უამბო რა ყრილობის დელეგატებს იმ მუშაობის შესახებ, რაც რესპუბლიკაში წარმოებს ქალაქებისა და სოფლების რადიოფიკაციისათვის, მოუწოდა კომკავშირელებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა გ. შატუნოვმა თავის გამოსვლაში ილაპარაკა კომკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის ნაკლოვანებებზე, ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების ამოცანებზე.

შინაკომკავშირული მუშაობის საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები კომკავშირის ჩოხატაურის რაიკომის მდივანმა მ. კეკელიძემ, კომკავშირის გორის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ზ. იხოლაძემ, კომკავშირის წულუკიძის რაიკომის მდივანმა ო. ყურაშვილმა, კომკავშირის კაჭრეთის რაიკომის მდივანმა გ. სოლოღაშვილმა და სხვებმა.

დელეგატებმა გააკრიტიკეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, მისი ხელმძღვანელები მუშაობაში არასაკმაო ოპერატიულობისა და ინიციატივისათვის, იმისათვის, რომ ისინი შეურიგდნენ ცალკეულ ნაკლოვანებებს.

ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. მ. დ. ჩუბინიძე.

კომკავშირი, რომელიც დიდი ლენინის სახელს ატარებს, — თქვა მან, — მთელი თავისი სახელოვანი ისტორიის მანძილზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლ რეზერვს წარმოადგენს. საქართველოს კომკავშირი, რომელიც აღზრდილია მგზნებარე პატრიოტიზმის სულისკვეთებით, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა, შეუპოვრად იბრძვის პარტიისა და მთავრობის ეხ ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რომელთა მიზანია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესება.

ამხ. ჩუბინიძემ ყრილობის ყურადღება მიაქცია კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ კომკავშირი არასაკმაო ყურადღებას აქცევს ახალგაზრდობის სწავლას, ნაკლებ ინტერესს იჩენს იმისადმი, თუ როგორ ეუფლება იგი ზოგადსაგანმანათლებლო, პოლიტიკურ და ტექნიკურ ცოდნას. კომკავშირული ორგანიზაციები ჯეროვან დახმარებას არ უწევენ სკოლასა და ოჯახს მოსწავლეთა აღზრდაში, მათი აკადემიური წარმატების ამაღლებაში.

ახალგაზრდობის აღზრდა მტკიცე, შეგნებული დისციპლინის სულისკვეთებით კომკავშირის უპირველესი მოვალეობაა. მაგრამ ამ საქმეში ჩვენ სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს. ახალგაზრდობის ნაწილი ჯერ კიდევ შეუფერებლად იქცევა სკოლაში, ქუჩაში, შინ, საზოგადოებრივ ადგილებში. კომკავშირული ორგანიზაციები სათანადოდ არ იბრძვიან იმისათვის, რომ აღმოფხვრან ეს ნაკლოვანებანი.

თავის სიტყვაში ამხ. ჩუბინიძემ დააყენა საკითხი იმ ახალგაზრდა სპეციალისტების შესახებ, რომლებიც უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ სამუშაოდ არ მიდიან დანიშნულების ადგილზე. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, — თქვა მან, — გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გააჩაღონ ამ ბოროტების წინააღმდეგ.

ამხ. ჩუბინიძე დაწვრილებით შეჩერდა კომკავშირის ამოცანებზე რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, შრომისადმი სიყვარულის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის, ჭაბუკებისა და ქალიშვილების კულტურული და გონივრული დასვენების ორგანიზაციის საქმეში.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე გენერალ-მაიორი ს. ბანიხი, მილიციის რესპუბლიკური სამმართველოს პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე კომკავშირული მუშაობის ხაზით ი. ბაქაშვილი.

ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. დ. ვ. მჭედლიშვილი.

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც მიმართულია ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის დარგში საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი აღმავლობისაკენ, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში რესპუბლიკის წინაშე მდგომი დიდი ამოცანების გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობისათვის მათი მობილიზაციისაკენ.

# რუმინეთის მუშათა პარტიის მეორე ყრილობა

ბუქარესტი, 27 დეკემბერი. (საკდესი). 26 დეკემბრის დილის სხდომაზე ყრილობის დელეგატები განაგრძობდნენ რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების განხილვას.

პარტიის პლოეშტის საქალაქო კომიტეტის მდივანმა კონსტანტინე ანკამ ილაპარაკა ქალაქის მრეწველობის განვითარების წარმატებაზე და გაუზიარა დამსწრეთ პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება კადრების მომზადებისა და აღზრდის, მასებთან კავშირის განმტკიცების დარგში.

ამ სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე კრაიოვის ოლქის სოფელ კურმეტრის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის თავმჯდომარე კონსტანტინე ვაცე, სოციალისტური შრომის გმირი ორთქლმავლის მემანქანე შტეფან ლუნგუ, პარტიის ტიმიშოარის საოლქო კომიტეტის მდივანი ვასილე პატილინეცი, კონსტანცის ოლქის ხირშეს მტს-ის დირექტორი იონ კეჩულიანუ, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ი. კიშინევსკი, პარტიის გალაცის საოლქო კომიტეტის მდივანი რადუ დულგერუ, განათლების მინისტრი ილიე მურგულესკუ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მარინ გასტონი და სხვები.

ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„1. მოწონებულ იქნას რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობა რუმინეთის მუშათა პარტიის პირველი ყრილობიდან მეორე ყრილობამდე განვლილ პერიოდში.

2. მოწონებულ იქნას პოლიტიკური გეზი და უახლოესი ამოცანები, ჩამოყალიბებული რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში, რომელიც გააკეთა ამხანაგმა გეორგე გეორგიუ-დეჟმა, და მიღებულ იქნას ისინი პარტიის ბრძოლისა და მუშაობის პროგრამად სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობაში, პარტიის განუხრელ განმტკიცებაში, სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს განმტკიცებაში, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებასა და მშვიდობის დაცვაში".

ყრილობის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მატიას რაკოშის, იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრის ჯოვანი როველის, ესპანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის დოლორეს იბარურის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ტოდორ ჟივკოვის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ვაცლავ კოპეცკის, პოლონეთის მუშათა გაერთიანებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ზენონ ნოვაკის მისასალმებელ გამოსვლებს.

სალამოს სხდომაზე ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენების გამო რეზოლუციის მიღების შემდეგ მოხსენება რუმინეთის მუშათა პარტიის მეორე ყრილობის დირექტივების თაობაზე სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეორე ხუთწლიანი გეგმის შესახებ გააკეთა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კივუ სტოიკამ.

ჩამოაყალიბა რა მეორე ხუთწლიანი გეგმის ამოცანები მრეწველობის დარგში, კივუ სტოიკამ აღნიშნა, რომ მეორე ხუთწლედის დამლევს რუმინეთის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გადიდდება 5,4—5,6-ჯერ 1948 წელთან შედარებით.

დირექტივები ითვალისწინებენ მეორე ხუთწლედში წარმოების 50 პროცენტით გადიდებას მსუბუქ და კვების მრეწველობაში.

ილაპარაკა რა მეორე ხუთწლიანი გეგმის ამოცანებზე სოფლის მეურნეობის დარგში, კივუ სტოიკამ აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის მთავარი ამოცანა მეორე ხუთწლიან გეგმაში არის უზრუნველვყოთ მნიშვნელოვანი ზრდა სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა, რომლის მეტი ნაწილი უნდა მოგვცეს სოციალისტურმა სექტორმა. გათვალისწინებულია მარცვლეულის წარმოების აყვანა 1960 წელს 15 მილიონ ტონამდე.

მეორე ხუთწლიან გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პირუტყვის სულადობის გადიდებას, განსაკუთრებით მისი პროდუქტიულობის ზრდას. 1960 წელს მიღებულ იქნება დაახლოებით 1.300 ათასი ტონა ხორცი, აქედან 600 ათასი ტონა ღორის ხორცი, 25 მილიონი ჰექტოლიტრი რძე, 34 ათასი ტონა მატყლი და სხვ.

დირექტივები ითვალისწინებენ, რომ მეორე ხუთწლედში სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა გადიდდება დაახლოებით 60 პროცენტით, მიაღწევს რა 1960 წელს 45-46 მილიარდამდე ლეის. განვითარდება აგრეთვე საგარეო ვაჭრობა.

თავისი მოხსენების დასასრულს კივუ სტოიკამ განაცხადა: დირექტივები მეორე ხუთწლიანი გეგმის შესახებ სოციალისტური, ეკონომიური და კულტურული მშენებლობის დიდებული პროგრამაა. ისინი წარმოადგენენ რეალურ პროგრამას, შედგენილს სახალხო მეურნეობის ობიექტურ შესაძლებლობათა ანალიზის საფუძველზე. მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულების საწინდარია ჩვენი შრომისმოყვარე და შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ხალხის მხურვალე პატრიოტიზმი და შრომითი აღმავლობა, პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა, საბჭოთა კავშირის ძმური ხელშეწყობა, ეკონომიური მეგობრული თანამშრომლობა სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანასთან, ეკონომიური ურთიერთობის განვითარება ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანასთან.

შემდეგ დაიწყო მოხსენების განხილვა.

ყრილობაზე გამოაქვეყნეს იაპონიის კომუნისტური პარტიისა და ისლანდიის სოციალისტური ერთიანობის პარტიის მისასალმებელი დეპეშები.

დღეს ყრილობის დილის სხდომაზე დამთავრდა განხილვა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კივუ სტოიკას მოხსენებისა რუმინეთის მუშათა პარტიის მეორე ყრილობის დირექტივების თაობაზე სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეორე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ალექსანდრუ მოგიოროშმა და პეტრე ბორილამ, პარტიის სტალინის საოლქო კომიტეტის მდივანმა მაქსიმ ბერგიანუმ, კლუჟის უნივერსიტეტის რექტორმა ლადისლაუ ბანიაიმ და სხვებმა.

ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა დირექტივები სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-60 წლების მეორე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

შემდეგ მოხსენება რუმინეთის მუშათა პარტიის წესდების შეცვლის შესახებ გააკეთა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნიკოლაე ჩაუშესკუმ.

ნ. ჩაუშესკუს მოხსენების გამო გამართულ კამათში ყრილობის დელეგატები ერთსულოვნად იწონებენ რუმინეთის მუშათა პარტიის შეცვლილი წესდების პროექტს.

ყრილობას მიესალმნენ დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიისაგან — პალმ დატი, ბელგიის კომუნისტური პარტიისაგან — რენე ბელენი, კორეის შრომის პარტიისაგან — ხან სან დუ, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისაგან — კარლ შირდევანი, გერმანიის კომუნისტური პარტიისაგან — ოსკარ ნეიმანი, ალბანეთის შრომის პარტიისაგან — ჰაკი ტოსკა, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისაგან — გ. ჩიმიდი, ავსტრიის კომუნისტური პარტიისაგან — რუდოლფ რიხტერი.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

# სპორტის ამბები

## საბჭოთა მოჭიდავეების წარმატება საფრანგეთში

საბჭოთა მოჭიდავეების საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, რაც საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქებში იმართება, დიდ ინტერესს იწვევს. ფრანგი მაყურებლები მოხიბლული არიან ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა მაღალი ოსტატობით, ჭიდაობის სრულყოფილი ტექნიკით, საუკეთესო ფიზიკური მომზადებით. მატჩები მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობს.

ჩვენი ქვეყნის მოჭიდავეთა კოლექტივის შემადგენლობაში სხვა სპორტსმენებთან ერთად არის მსოფლიოსა და სსრ კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ვ. ბალავაძე, რომლის გამოსვლები საერთო მოწონებას იმსახურებს.

როგორც ვიუწყებოდით, საბჭოთა მოჭიდავეების პირველი ორი გამოსვლა პარიზსა და დიჟონში დამთავრდა მათი გამარჯვებით ანგარიშით 10:0, 8:1. ამ შეხვედრებში განსაკუთრებით ისახელა თავი ვ. ბალავაძემ. როდესაც მან დიჟონში მოწინააღმდეგე ხალიჩაზე ორივე ბეჭზე დასცა, მაყურებლებმა საბჭოთა სპორტსმენი ხელში აიტაცეს და სარბიელიდან ისე გაიყვანეს.

მესამე შეხვედრა ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებს ჰქონდათ რეიმსში. ეს ასპარეზობაც საბჭოთა მოჭიდავეების დიდი გამარჯვებით დამთავრდა. ვ. ბალავაძემ 2 წუთსა და 14 წამში სუფთა გამარჯვება მოიპოვა საფრანგეთის ჩემპიონთან საშუალო წონაში დე სავაჟთან.

სსრ კავშირისა და საფრანგეთის მოჭიდავეთა მეოთხე შეხვედრა შედგა ლიონში. წინა მატჩების მსგავსად საბჭოთა სპორტსმენებმა მაღალ დონეზე ჩაატარეს შეჯიბრება და კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს.

უკანასკნელი შეხვედრა გაიმართა ვ. ბალავაძესა და საფრანგეთის ჩემპიონის რენეს ზორის. ეს შეჯიბრება მძაფრი ბრძოლით დაიწყო. შუაკაურით ვ. ბალავაძე რამდენიმე ილეთს აკეთებს. მაყურებლები მას ერთსულოვანი ტაშით აჯილდოვებენ. რენემ ხიდურით დააღწია თავი დამარცხებას. მე-15 წუთზე ვ. ბალავაძის კიდევ ერთი შესანიშნავი ილეთის შემდეგ საფრანგეთის გუნდის წარმომადგენელი ხალიჩაზე ბეჭებდადებული აღმოჩნდა. სპორტის მოყვარულები აღფრთოვანებით მიესალმნენ გამარჯვებულს.

საფრანგეთის ჭიდაობის ფედერაციის სახელით ვ. ბალავაძეს გადაეცა სპეციალური ჯილდო—თასი, რომელზეც ამოკვეთილია — „თავისუფალი ჭიდაობის საუკეთესო ტექნიკოსს".

## შეჯიბრება სათხილამურო ორჭიდში

მოსკოვის ახლოს სადგურ პოდრეზკოვოს რაიონში დამთავრდა სსრ კავშირის უძლიერეს მოთხილამურეთა შეჯიბრება ორჭიდში (ტრამპლინიდან ხტომა, 15 კილომეტრზე სათხილამურო გადარბენა).

ეს შეხვედრები ორ დღეს გრძელდებოდა.

ასპარეზობის პირველ დღეს გაიმართა შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში. აქ ყველაზე უკეთესი შედეგი აჩვენა ბაკურიანელმა სპორტსმენმა პ. გავამ, რომელიც გადახტა (ორი ცდა) 62 და 63,5 მეტრზე.

ორჭიდში გამარჯვებულის გამოსავლინებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეორე დღის შეჯიბრებას — 15 კილომეტრზე სათხილამურო გადარბენას. გაიმარჯვა დინამოელმა ი. გორშკოვმა, რომელმაც დისტანცია გაიარა 1 საათში 1 წუთსა და 6 წამში. პ. გავამ აჩვენა დრო — 1:05.38.

ორჭიდის ჯამში ქულათა დიდი განსხვავებით პირველი ადგილი დაიკავა პ. გავამ (434,2 ქულა), მეორე ადგილზე გამოვიდა ი. კულევი (მოსკოვი, „კრილია სოვეტოვი" — 419,2 ქულა), მესამეზე — ი. გორშკოვი (მოსკოვი, „ლოკომოტივი" — 418,5 ქულა).

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

# გაიხსნა იუგოსლავიის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის სესია

ბელგრადი, 27 დეკემბერი. (საკდესი). დღეს გაიხსნა იუგოსლავიის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის სესია. სკუპშჩინის დღის წესრიგშია დამტკიცება კანონპროექტებისა 1955 წლის საზოგადოებრივი გეგმების მოქმედების 1956 წლისათვის განგრძობის შესახებ, სახალხო რესპუბლიკების ფედერაციის, ავტონომიური ერთეულებისა და სახალხო კომიტეტების დროებითი დაფინანსების შესახებ და სხვა საკითხები.


რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
დღისა და სალამოს წარმოდგენები მოსწავლეთა არდადეგების დროს

კვირას, 1 იანვარს, სალამოს ტარიელ გოლუა

ორშაბათს, 2 იანვარს, დღისით ტარიელ გოლუა, სალამოს ხალისიანი მეგობრები

სამშაბათს, 3 იანვარს, დღისით ხალისიანი მეგობრები

სამშაბათს, 3 იანვარს, სალამოს და ოთხშაბათს, 4 იანვარს, დღისით ესპანელი მღვდელი

ოთხშაბათს, 4 იანვარს, სალამოს გლახის ნაამბობი

ხუთშაბათს, 5 იანვარს, დღისით გლახის ნაამბობი, სალამოს პირველი ნაბიჯი

პარასკევს, 6 იანვარს, დღისით პირველი ნაბიჯი, სალამოს კიკვიძე

შაბათს, 7 იანვარს, დღისით საპატარძლო აფიშით, სალამოს ნ. ბარათაშვილი

კვირას, 8 იანვარს, დღისით ნ. ბარათაშვილი, სალამოს ტარიელ გოლუა

ორშაბათს, 9 იანვარს, დღისით ტარიელ გოლუა, სალამოს ოტელო

მზადდება სოფოკლეს ტრაგედია „ოიდიპოს მეფე"

თბილისის სახელმწიფო ცირკი
ყოველდღე
ახალი ატრაქციონი
უსურიის და ბენგალიის
ვეფხვები
მომთვინიერებელი რსფსრ დამსახურებული არტისტი
ა. ნ. ალექსანდროვი
და დიდი საცირკო პროგრამა
დასაწყისი სალამოს 8 ს. 30 წ.

31 დეკემბრიდან 9 იანვრამდე
ყოველდღე
სასკოლო არდადეგების დღეებში
დღის ორი საბავშვო წარმოდგენა
მონაწილეობენ:
საბჭოთა ცირკის საუკეთესო ოსტატები
ცირკში: ნაძვისხე
მასობრივი ცეკვები, თამაში და სხვა გართობანი გამოცდილ მასობრივ მომუშავეთა ხელმძღვანელობით.
დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს.
ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში, სალაროები ღიაა დილის 10 საათიდან. მიიღება შეკვეთები სკოლებისა და ორგანიზაციებისაგან კოლექტიურ დასწრებაზე.

„კინოპროკატის" საქართველოს რესპუბლიკური კანტორა
ნახეთ
კინოთეატრებისა და კლუბების ეკრანებზე
ახალი ფრანგული მხატვრული ფილმი
„ჩრდილი და სინათლე"
სცენარი ხ. ტერაკის, რეჟისორი ანრი კადეჟი, ოპერატორი ი. ბურგუანი, მხატვარი რ. მონდელინი, კომპოზიტორი ჟ. კოსმა, ხმის ოპერატორი რ. ლონგე.
როლებს ასრულებენ მსახიობები:
სიმონა სინიორე, მარია კაზარესი, ჟაკ ბერტიე, ჟაკ მარშა, პიერ დიუქსი.
„სიგმა-ვოგიხა" და „ფილმ-მარსოს" ნაწარმოები, საფრანგეთი, 1950 წ.
ფილმი დუბლირებულია მ. გორკის სახელობის კინოსტუდიის მიერ.
დუბლაჟის რეჟისორი ვ. საუცი, ხმის ოპერატორი ვ. დმიტრიევი.
1955 წლის გამოშვება.

მოქალაქე ბენიამინ სიმონის-ძე ნათლიაშვილმა, მცხოვრებმა თუმანიანის შესახვევი № 4, აღძრა საქმე ფურცელაძის ქ. № 32 მცხოვრებ მოქალაქე სუსანა ასატურის ასულ სარუხიანთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე ნოდარ მიხეილის-ძე იმედაშვილმა, მცხოვრებმა წერეთლის ქ. № 18, აღძრა საქმე პლეხანოვის პროსპ. № 116 მცხოვრებ მოქალაქე დიანა ერმილეს ასულ ჯიტავასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-5 უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ბულბულო, შვილი ტატიანა, ძმა სამუელ, და ვერა ოჯახებით იუწყებიან ვარდენ გიორგის-ძე ზაქარეიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-I სოფელ საჭამიასერში (ჩოხატაურის რაიონი).

შვილები ეკატერინე თაბორიძე, ოლღა გრიგორიანი, ანი ციციშვილი ოჯახებით იუწყებიან ბარბალე გრიგოლის ასულ მამულაშვილი-ლაზარიდის გარდაცვალებას. გამოსვენება 29-XII, 4 ს. ბინიდან, რუსთაველის პროსპ. № 2.

შვილები ნათელა, ნაზი, კუკური ოჯახით იუწყებიან ოლია სპირიდონის ასულ მელქაძე-დოლიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-XII, 8 ს. გამოსვენება 31-XII, 3 ს. მარჯანიშვილის ქ. № 34.

მეუღლე ლიზა, შვილები გიორგი, თალიკო, თამარ ოჯახებით იუწყებიან ვლადიმერ გიორგის-ძე ბურნაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 31-XII, 3 ს. სოფელ თამარაშენში (სტალინირის რაიონი).

მეუღლე ეკატერინე, შვილი ჟანეტა, ძმა დავით, და ესემია ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან ფილიმონ ტარასის-ძე დედარიანის გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30-XII, 8 ს. გამოსვენება 31-XII, 3 ს. ბინიდან, კალინინის ქ. № 110.


უე 06978 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.